# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ხელის გაცვლა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


ხუთშაბათი, 15 იანვარი, 2015 წელი.

№7 (7652)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## დავით საგანელიძე: როცა კოალიციის წევრი ხარ, კეთილი ინებე, საკითხები კოალიციაში „მოხარშე“ და მერე შემდეგ გაიტანე

3

## გიორგი მარგველაშვილი, როგორც ჩანს, სააკანთ ბიჭის ფსევდონიმია!..

2





## „დომხალი“, რომელიც ქალაქს არ სჭირდება

6

## „ალბათ, თბილისი მსოფლიოში ერთადერთი ქალაქია, სადაც მშენებლობა ყოვლად შეუმოწმებლად მიმდინარეობს

4



## წინა ხელისუფლების „დანატოვარს“ ახლებმა უნდა მიხედონ

5



## ჩვენ ვიწამლებით, ტექდათვალიერება კი დიდი ხნით გადაიდო!

### ბრავო! – ავტომფლობელებს 2017 წლამდე არ შეაწუხებენ



6

## „ქართუს“ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტი იქნება 20-ჯერ უფრო უკეთესი, ვიდრე სააკაშვილის პროექტი

2

## 2014 წელს განხორციელებული და 2015 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები

4

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

## უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი, რასაც აკეთებს, კეთილს, თუ ბოროტს, თავის თავს უკეთებს და არავის სხვას



ყოველ ახალ წელს ადამიანი ახალ მადლს ელოდება და ჩვენც შევთხოვთ უფალს, რომ გამთლიანდეს საქართველო, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სიონის ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

**„ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ წყალობა არ მოგვაკლოს, გამთლიანდეს საქართველო. უპირველეს ყოვლისა, ფერი უნდა ვიცვალოთ ჩვენ თვითონ, ჩვენ თვითონ უნდა ჩავხედოთ ჩვენს გულს, ჩვენს სულს, ჩვენს გონებას. ძალიან ხშირად, მიუხედავად იმისა, რომ ვლოცულობთ, ვერ ვაკონტროლებთ ჩვენს მოქმედებას და ხშირი შემთხვევაა, როცა ბოროტებასაც კი ვაკეთებთ“,** – აღნიშნა პატრიარქმა.

მისივე თქმით, ერთია, როდესაც ადამიანი ბოროტებას აკეთებს თავისი უძლურების გამო, შემთხვევით, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც ადამიანი ბოროტებას სპეციალურად აკეთებს. უწმინდესის თქმით, ასეთი ადამიანი საცოდავია და დაისჯება ღვთისაგან.

**„ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ადამიანი, რასაც აკეთებს კეთილს, თუ ბოროტს, თავის თავს უკეთებს და არავის სხვას. ნუ გავუკეთებთ ჩვენს თავს ბოროტებას, ვეცადოთ, რომ ბოროტებაზე სიკეთით ვუპასუხოთ და სიკეთე ვაკეთოთ, რაც ჩვენ დაგვიბრუნდება“,** – აღნიშნა პატრიარქმა.

## თუ საქართველოში მშვიდობა არ იქნება, მშვიდობა ვერ დამყარდება ვერც კავკასიაში



ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია იმის მიუხედავად, თუ რომელი პარტიაა ხელისუფლებაში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გამოცემა Leaders-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

**„ჩვენ ვიზიარებთ თავისუფლებისა და დემოკრატიის საერთო ღირებულებებისადმი ერთგულებას. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ კონგრესში და აშშ-ის ადმინისტრაციაში ამერიკელ ლიდერებთან, ვინც მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირსა და დასავლეთთან დაახლოებას“,** – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, მან კარგი ურთიერთობები დაამყარა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან და ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან. ჟურნალ ლუფვუკთ-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სრულად შეცვალა მიდგომა რუსეთთან.

**„ჩვენ ავირჩიეთ პრაგმატული, რაციონალური და კონსტრუქციული პოლიტიკა რუსეთთან. ეს იმისთვის გავაკეთეთ, რომ გვინდა დაძაბულობის დეესკალაცია და ახალი კონფლიქტის თავიდან არიდება. ეს ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნებიდან ინვესტორების მოსაზიდად. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ ჩვენ ვართ საიმედო, პროგნოზირებადი მთავრობა, მტკიცე ლიდერებით სათავეში, რომელსაც მშვიდობა და სტაბილურობა სურს. თუ საქართველოში მშვიდობა არ იქნება, მშვიდობა ვერ დამყარდება ვერც კავკასიაში, რაც სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის დანარჩენ მსოფლიოს“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# „ქართუს“ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტი იქნება 10-ჯერ, 20-ჯერ უფრო უკეთესი, ვიდრე მიხეილ სააკაშვილის პროექტი

**ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, სწორედ ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით აშენდება რეგიონისთვის მთელ კავკასიაში ერთ-ერთი უნიკალური კომპლექსი.**

„ფონდმა „ქართუმ“ გააკეთა კომენტარი, რომ ბიძინა ივანიშვილი აპირებს, მრავალი ათეულმილიონიანი უნივერსიტეტი გააკეთოს საქართველოში, თავისი კამპუსით. ეს იქნება უნიკალური პროექტი. თვითონ ფონდი „ქართუ“ გააკეთებს ვრცელ კომენტარს, რა მასშტაბის იქნება პროექტი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ასევე გამოეხმაურა ბათუმის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილის განცხადებებს და აღნიშნა, რომ არ აპირებს, ისაუბროს სააკაშვილის ტყუილებზე.

„ზოგადად, მე გირჩევთ, რომ ნაკლებად უსმინოთ მას. არასერიოზული იქნება, მის აბსურდულ ტყუილებზე კომენტარი გავაკეთოთ. ჩემი ინფორმაციით, თავდაპირველად, როდესაც ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შენობა შენდებოდა, იქ უნდა ყოფილიყო ბანკი და არა - უნივერსიტეტი. შემდეგ, როგორც ჩანს, სააკაშვილმა უცებ გადაიფიქრა და მოიფიქრა, რომ იქ რაღაც უნივერსიტეტი გაეკეთებინა. ამერიკულ მხარესთან ჰქონდათ მოლაპარაკებები კამპუსთან დაკავშირებით და, როგორც ვიცი, მათ არ დაუმტკიცეს ეს პროექტი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, დღეს ეს შენობა უფუნქციოდ არის დარჩენილი და იქ რაიმე უნივერსიტეტის გაკეთება წარმოუდგენელი იყო.

კაროჟნასი არ იყოს...

# გიორგი მარგველაშვილი, როგორც ჩანს, სააკანთ ბიჭის ფსევდონიმია!..

**ახლახან ერთმა ჩემმა ძველმა მეგობარმა, მრავლის მომსწრე და მნახველმა კაცმა, ეჭვი გამოთქვა, ეს ჩვენი ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი მარგველაშვილი ისე იქცევა, ხან ნამდვილად გადაცმული სააკაშვილი მგონია და სულ ვფიქრობ, როგორც ძებნილმა კონსპირაციის მიზნით მარგველაშვილობა ფსევდონიმად ხომ არ აირჩიაო...**

მართალი გითხრათ, ეს აზრი პირველად მეც მაშინ გამიჩნდა, მარგველაშვილმა თავის ერთ-ერთ მრჩევლად შუმი ნაციონალის მიხეილ მაჭავარიანის ძმა, ნაციონალების ტირანიის დროს იაპონიაგამოვლილი ვანო რომ აირჩია, მეორედ თავისი პოლიტიკური მამამძუძე ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის კულუარებიდან მმართველად რომ მოიხსენია, ხოლო ახლა, როცა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე კახა კოჟორიძე, რომელიც ბოლო ორი წელიწადი საზოგადოების თვალში უკურნებელ მჩხვლეტავ მუწუკად იქცა, მრჩევლად დაინიშნა ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების სფეროში, საბოლოოდ განმიმტკიცდა აზრი, რომ მარგველაშვილი იგივე სააკაშვილია, რასაკვირველია, განზრახ სახეშეცვლილი, ვინც საზოგადოების დაბნევის მიზნით ამ დღეებში ნაციონალების სახეუცვლელი რუპორის „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან „გვახარა“, მომავალ ახალ წელს უკვე მე მოგილოცავთო. რაც შეეხება საზოგადოების დაბნევას, ეს იმ აზრით ვთქვი, რომ საშვილიშვილოდ თავშერცხვენილი და დამნაშავე ექსპრეზიდენტი ამაოდ ცდილობს, როგორმე არ გვაფიქრებინოს მარგველაშვილის სააკაშვილობა.



მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, ფაქტი ჯიუტია. მარგველაშვილი, მართალია, ბევრად უფრო დუნედ, მაგრამ უდავოდ საეჭვო პოლიტიკური ნაბიჯების მხრივ ზუსტად იმეორებს ავადსახსენებელ სააკაშვილს, რომელსაც, თავის ბოროტ თანამზრახველებთან ერთად, დღემდე ვერ მოუნელებია, რომ ადამივით „სამოთხიდან“ გამოაძევა (რა თქმა უნდა, ევა-სანდრა რულოვსითურთ) ბიძინა ივანიშვილმა, ვინც მერე კაროჟნასავით კარდაკარ ატარა ეს თავისი თანაფილოსოფოსი მარგველაშვილი და იმდენი ქნა, იმდენი ილონისძიევა, ხან ნემსის ყუნწში გაძვრა, ხან გველის ფხაში და პრეზიდენტად „მიათხოვა“ დღესდღეობით, გინდ პოლიტიკური და გინდ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, შეზღუდულ შესაძლებლობათა საცოდავად დაჯიჯგნილ საქართველოს.

და ვინაიდან მოაქჟამამდე არაფერი არ ეშველა, ანუ საშველი არ დაადგა საქართველოში არც ადამიანის უფლებების დაცვას და არც მართლმსაჯულებას, ამ ჩვენმა ფილოსოფოსმა პრეზიდენტმა უმალ იპოვა გამოსავალი —ადგა და სულ მოკლე ხნით უმუშევრად დარჩენილი კოჟორიძე, პირში დასავლეთის ძუძუგაჩრილი, მრჩევლის სავარძელში ჩაისვა. ეტყობა, მალე, ალბათ, ასევე ვიხილავთ მრჩევლებად გიგაურსა და ლომჯარიას, მერე, ალბათ, ხოშტარიასა და კაპანაძეს, ლადარიასა და იგნატოვას, ხოლო ბოლოსა და ბოლოს, როგორც ჩანს, მარგველაშვილ-სააკაშვილის მრჩევლებად აღმოჩნდებიან ხათუნა ლაგაზიძე და სოსო ცინცაძე, ნიკა ჩიტაძეზე აღარაფერს ვამბობ, ის, მგონი, უკვე კონფიდენციალური მრჩეველია...

ასე რომ საქართველოს დედამიწის ზურგზე ყველაზე მრავალმრჩევლიანი პრეზიდენტი ეყოლება... და კოჟორიძე მრჩეველთა ამ კრებულში, მჯერა, ბადახშივით იბრწყინებს.

ესე იგი, საშველი, როგორც იტყვიან, უკვე კარზეა მომდგარი. ამის მერე კიდევ ვინმე იტყვის, ბიძინა ივანიშვილის კაროჟნა ჩაიჭრა და ხალხის იმედები ვერ გაამართლაო?!.

**გურამ წიკლაური**

ღმერთმა ქნას

# „C ჰეპატიტის“ მართვის პროექტი სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოდან დაიწყება

**2015 წლის მთავარ პროექტად საქართველოს მთავრობა „C ჰეპატიტის“ მართვის ილიმინაციის პროექტს ასახელებს.**

**როგორც საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს გუშინდელ პრესკონფერენციაზე განუცხადა, პროექტის განხორციელება, სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოდან დაიწყება. მისი თქმით, შესაბამისი შეთანხება ამერიკულ კომპანია „გილიალდთან“ და ამერიკის დაავადების კონტროლის მართვის ცენტრთან თვის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში გაფორმდება, რის შემდეგაც აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყება.**

**„ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები ამერიკულ კომპანიებთან უკვე განაწილებულია. მათ თავის მხრიდან მზადყოფნა აქვთ. პროექტის მონაწილე იქნება სამი მხარე, ამერიკული კომპანია, ამერიკის დაავადების კონტროლის მართვის ცენტრი და საქართველოს მთავრობა. როგორც კი წარვადგენთ მზადყოფნის გეგმას და ეს მოხდება თვის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში, ხელი მოეწერება შესაბამის შეთანხებას, სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოს. ამის შემდეგ დაიწყება პროექტის განხორციელების პირველი ნაბიჯები“, — განაცახადა სერგეენკომ.**

**მისივე თქმით, პროექტი მოსახლეობისთვის მხოლოდ იაფი და ხელმისაწვდომი წამლის მიწოდებაზე არ იქნება ორიენტირებული, ეს არის კომპლექსური, საზოგადოებრივი ჯანდაცვითი პროექტი, რომელიც ნიშნავს იმას, რომ ყველას ვისაც კი ჭირდება, მიიღოს მკურნალობა და პრეპარატი და მინიმუმადე იყოს დაყვანილი ახალი შემთხვევების აღმოცენება.**

**მინისტრმა მედიას თხოვნით მიმართა, რომ საზოგადოებას მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდოს ამ პროექტის შესახებ.**

**მისივე თქმით, ამ პროექტს პრემიერ-მინისტრი პირადად კურირებს.**

# პარლამენტში პრეზიდენტის სიმბოლურ გამოსვლებზე მთავრობის დასწრება საჭირო არ არის

**ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებას გამოეხმაურა.**

„ეს არის სიმბოლური გამოსვლა პარლამენტში. მე არ ვთვლი საჭიროდ, ყოველ შემთხვევაში, რომ ასეთ გამოსვლებს უნდა დაესწროს მთავრობა, მინისტრები და პრემიერ-მინისტრი. ეს არის ჩემი პოზიცია, მაგრამ მე გთხოვთ, რომ ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ, სუფთა სიმბოლური დატვირთვა აქვს ასეთ გამოსვლებს და მონაწილეობა-არმონაწილეობას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქანელა

# ლარს თებერვლამდე არაფერი ეშველებაო...

**როგორც მოსალოდნელი იყო, ლარის კურსი ნაახალწლევს ისევ თავქვე დაეშვა და ჯერჯერობით, ყოველდღიურად დაბლა მიექანება. ერთ კვირაში ლარი დოლართან მიმართებაში უკვე 6 პუნქტით გაუფასურდა. სპეციალისტების აზრით, ეროვნულ ვალუტას თებერვლამდე არაფერი ეშველება.**

დოლარის კურსმა მატება ახალი წლის პერიოდში ნელ-ნელა დაიწყო. 5 იანვარს გაცვლითი კურსი 1.86 ლარი იყო, 7 იანვარს – 1.87 ლარი, 9 იანვარს – 1.88, 12-ში – 1.90 ლარს გასცდა, დღეს კი 1.92 ლარზე დაფიქსირდა.

სავალუტო ჯიხურების მეპატრონეთა ერთი ნაწილის ინფორმაციით, ამ ეტაპზე მომხმარებლები დოლარს უფრო აბარებენ, ვიდრე ყიდულობენ, თუმცა ზოგიერთი ამბობს, რომ ყიდვა-გაყიდვა შემცირებულია. ვალუტის გადამცვლელები ბაზარზე დოლარის დეფიციტზეც საუბრობენ.

ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარე რომან გოცირიძე ლარის გაუფასურებას დეკემბერში განხორციელებულ ბიუჯეტის დეფიციტურ ხარჯვას უკავშირებს.

„დეკემბერში ბიუჯეტიდან დიდი დეფიციტური ხარჯვა განხორციელდა. კერძოდ, დეკემბერში 2-ჯერ მეტი ხარჯი გასწიეს, ვიდრე 11 თვის განმავლობაში საშუალოდ თვეში იხარჯებოდა. დეკემბერის ბოლო დღეებში საბიუჯეტო დაწესებულებებს დაახლოებით, 400 მილიონი ლარი გადაერიცხათ. მოხდა წინმსწრები გადარიცხვა იმის გამო, რომ ბიუჯეტი შეესრულებინათ. შესაბამისად, დეკემბრის ბოლო დღეებში ფულის მასა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ახლა დეკემბერში ჩარიცხული ფულის რეალური ხარჯვა ხდება და ასევე 2015 წლის ბიუჯეტს თავისი ხარჯი აქვს. ფულის მასის ზრდიდან გამომდინარე, ამ ფარგლებში ლარის კურსის კორექტირება ხდება“, — განაცხადა გოცირიძემ.

ქვეყანაში ლარისა და დოლარის მასის თანაფარდობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, პრაქტიკულად, არაფერი შეცვლილა. ასეთი დასკვნა გამოიტანა ეკონომიკის ექსპერტმა ლევან კალანდაძემ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ეროვნული ვალუტის კურსის ანალიზის შედეგად.

„კურსს ერთი კონკრეტული ფაქტორი არ განაპირობებს. ეს კომპლექსური თემაა. პირველი — ქვეყანაში ლარისა და დოლარის მასის თანაფარდობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, პრაქტიკულად, არაფერი შეცვლილა. ეს ის ფაქტორია, რამაც პოზიტიური გავლენა უნდა მოახდინოს ლარის კურსის შენარჩუნებაზე, მაგრამ ჯერჯერობით - არ ჩანს. შესაბამისად, რამე მასტიმულირებელი ფაქტორი, რომ ლარის გამყარებას ხელი შეეწყოს, არ არსებობს.

მეორე საკითხი დაკავშირებულია შიდა ხარჯვით პოლიტიკასთან. მოგეხსენებათ, წლის დასაწყისია, რთული პერიოდია. შარშან წლის ბოლოს ვამბობდი კიდეც, რომ იანვარი ყველაზე მძიმე იქნებოდა. წლის დასაწყისში ფინანსთა სამინისტრო და ხაზინა დეფიციტურ ხარჯვას აწარმოებენ. ეს ნიშნავს, რომ ხარჯავენ იმაზე გაცილებით მეტს, ვიდრე აქვთ შემოსავალი. ეს კი ნეგატიურად აისახება ლარისა და დოლარის მასის თანაფარდობაზე ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. შესაბამისად, დოლარზე მოთხოვნა იზრდება და დეფიციტური ხარჯვა ლარის კურსის გაუფასურებას უწყობს ხელს“, - განუცხადა საგენტო „ინტერპერსნიუსს“ კალანდაძემ.



არის მე-3 და ასევე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც წმინდა ნეგატიურ მოლოდინთან და ბაზარზე გარკვეული სპეკულაციური ოპერაციების არსებობასთანაა დაკავშირებული. როგორც კი ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება დაიწყება, ლარისა და დოლარის მასის თანაფარდობაში ლარის სასარგებლოდ გარკვეული ძვრა მოხდება. „ის სპეკულაციური ფაქტორები იმწამსვე მეორე პლანზე გადავა, რაც ბიზნესისთვის ნეგატიურ, ბუნდოვან და გაურკვეველ პერსპექტივასთანაა დაკავშირებული“, - აცხადებს კალანდაძე.

იგი ფიქრობს, რომ 2015 წლისთვის ლარის ახალი წონასწორული კურსი სრულიად შესაძლებელია, 1.9-ის ფარგლებში იყოს.

შედარებით ოპტიმისტური პროგნოზი აქვს ექსპერტ ირაკლი ლექვინაძეს. მისი აზრით, ლარის კურსის გაუფასურება შეიძლება, გაგრძელდეს თებერვლის დასაწყისამდე, მერე კი გამყარებას დაიწყებს.

„როგორც წინა წლების დინამიკა და გამოცდილება გვიჩვენებს, იანვარი იქნება მერყევი. ამის მერე ლარის კურსის გაუფასურება შეწყდება და ის გამყარებისკენ წავა“, — აღნიშნა ლექვინაძემ.

რაც შეეხება ინფლაციას, ექსპერტი ამ მხრივ მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ელის. „ჩვენ მსოფლიო ფასებზე ვართ დამოკიდებული, ხოლო ძირითად პროდუქტებზე (ნავთობი, მარცვლეული, შაქარი) მსოფლიოში ფასი იკლებს. შეიძლება, მხოლოდ იმ ჯგუფის პროდუქტები გაძვირდეს, რომლებიც საერთაშორისო ტენდენციაზე არ არის დამოკიდებული“, — აღნიშნა ლექვინაძემ.

**ბექა დანელია**



# „როცა კოალიციის წევრი ხარ, კეთილი ინებე, საკითხები კოალიციაში „მოხარშე“ და გარეთ შემდეგ გაიტანე“

**საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე წლის პოლიტიკოსად პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ასახელებს, რადგან მიიჩნევს, რომ მან მძიმე წელი პირნათლად გაიარა. კანონმდებელი პოლიტიკაში ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას მიესალმება, რადგან კანონმდებელი ამბობს, რომ მისთვის ივანიშვილის პარტიული იდენტობა საინტერესოა.**

**2014 წლის პოლიტიკურ მოვლენებზე for.ge დეპუტატ დავით საგანელიძეს ესაუბრა:**

**— როგორ ფიქრობთ, 2014 წელს, ქვეყნის წარმატება და წარუმატებლობა რომელ სფეროებში იყო?**

— საქართველოს წარმატებაც ბევრი ჰქონდა და წარუმატებლობაც. ქვეყნის წინაშე ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა დგას. როცა ქვეყანაში დევნილები არსებობენ და ხალხი სიღარიბის ზღვარზეა, როგორ შეიძლება, მხოლოდ წარმატებაზე ვისაუბროთ? როცა პასუხისმგებლობა აღებული გაქვს, ვალდებული ხარ, ქვეყნისთვის რაღაც ნაბიჯები გადადგა. ქვეყანაში პრობლემები რჩება და წარუმატებლობა ჩანს, მაგრამ შეუძლებელია, ყველაფერი ერთი ხელის მოსმით გაკეთდეს. როცა იგებ, რომ ვიღაც დააბინავეს, ვიღაცას სამუშაო ადგილი უშოვეს და ვიღაცების ჯანმრთელობაზე იზრუნეს, მაშინ ხვდები, რომ ამ ქვენისთვის ცოტა სიკეთეც გაგიკეთებია. მთავრობაში პოზიტიური ძვრები იყო და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს. მინდა, მეტი საწარმო და მეტი დასაქმებული ადამიანი დავინახო. ასევე მსურს, რომ ქვეყანაში ინვესტორი უფრო მეტი ხალისით მოდიოდეს. ქვეყანაში პოლიტიკური ბრძოლა უნდა არსებობდეს, მაგრამ ანგარიშსწორება და დემაგოგია არ უნდა იყოს. პარტიულ ინტერესებს ქვეყანა არ უნდა გადააყოლო. ვისურვებდი, რომ მომავალი წელი უფრო საქმიანი, პრაგმატული და შედეგზე ორიენტირებული იყოს.

**— პოლიტიკოსთა ნაწილი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენად ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაციას მიიჩნევს. მათ პოზიციას იზიარებთ?**

— რა თქმა უნდა, წლის მოვლენა ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია იყო, რადგან ის სილუეტი გამოიკვეთა, თუ როგორი შეიძლება საქართველო ევროპის შემადგენლობაში იყოს. ეს ქვეყნისთვის დიდი წარმატებაა. შეიძლება ითქვას, რომ ეს წელი გამორჩეული რატიფიკაციით გახდა.

**— 2014 წელს, ხელისუფლების სისუსტე სად დაინახეთ?**

—ალბათ, პარტიულ დისციპლინაში. უფრო მეტი დისციპლინა უნდა იყოს. პარტია ისეთი ვერტიკალია, სადაც გარკვეული პარტიული დიქტატი უნდა არსებობდეს. ქვეყანა დემოკრატიული გზით უნდა ვითარდებოდეს, მაგრამ ამის განმსაზღვრელი პოლიტიკური ძალების მიერ გატარებული რეფორმები და პარტიებში დამკვიდრებული დისციპლინა უნდა იყოს. ზოგიერთი პარტიის წევრს მიაჩნია, რომ ამა თუ იმ საკითხზე ნებისმიერ მიკროფონთან და ტრიბუნასთან უნდა ისაუბროს, მაგრამ უმჯობესია, პრობლემებზე ჯერ შიგნით საუბარი და შემდეგ — გარეთ.

**— დისციპლინის პრობლემას, კოალიციაში ვერ ხედავთ?**

— დისციპლინა კოალიციაშიც უნდა იყოს. როცა ამბობ, რომ კოალიცის წევრის ხარ, მაშინ კეთილი ინებე და საკითხები კოალიციაში დააყენე, „მოხარშე“, გააანალიზე და გარეთ შემდეგ გაიტანე. თუკი პრობლეებს გუნდის შიგნით წააწყდები, მასზე გარეთ შემდეგ უნდა ისაუბრო.

**— 2014 წელი პოლიტიკური თვალსაზრისით გამორჩეული იმითაც იყო, რომ კოალიცია „თავისუფალმა დემოკრატებმა“ დატოვეს, ხოლო უმრავლესობიდან მურმან დუმბაძე და გია გაჩეჩილაძე წავიდნენ. თქვენი პროგნოზი როგორია, რღვევა მომავალ წელსაც გაგრძელდება?**

— კოალიცია ცოცხალი ორგანიზმია და ვერ დაგეთანხმებით, რომ რღვევა დაიწყო. დინამიური პროცესები მიმდინარეობს და თუკი უმრავლესობიდან რვა კაცი გავიდა და სანაცვლოდ, 12 დეპუტატი შემოვიდა, ეს რღვევას არ ნიშნავს. სამწუხაროდ, კოალიციიდან „თავისუფალი დემოკრატების“ გასვლა კონკრეტულ პიროვნებას და კონკრეტულ უწყებაში არსებულ კორუფციულ გარიგებაზე საქმის აღძვრას დაუკავშირდა. სჯობდა, ამ საკითხის პოლიტიზაცია არ მომხდარიყო და ანალიზი გაგვეკეთებინა. მართალი გითხრათ, ეს პროცესი იმის კატალიზატორი აღმოჩნდა, რომ უმრავლესობაში შესვლის სურვილი დამოუკიდებელმა დეპუტატებმა გამოთქვეს. სახეზეა, დინამიური პროცესი და არ გამოვრიცხავ, რომ 90-კაციანი შემადგენლობიდან ორი კაცი გავიდეს, ან პირიქით, ვიღაც ჩვენთან შემოვიდეს. ვისაც პოლიტიკაში გამოცდილება აქვს, ეს მას არ უნდა გაუკვირდეს. მიმდინარე პროცესებში მართალი ვინ იყო, ამას 2016 წლის არჩევნები გამოააშკარავებს.

**— დამოუკიდებელმა დეპუტატებმა უმრავლესობაში გადასვლის სურვილი კი არ გამოთქვეს, მათი წყალობით, ხელისუფლებამ უმრავლესობა შეინარჩუნა. უხერხულობას არ გიქმნით, რომ უმრავლესობის დაშლა თავიდან ყოფილი ნაციონალებით აიცილეთ?**

— ჩვენს რიგებში პირდაპირ უმცირესობიდან არცერთი დეპუტატი არ გადმოსულა. ეს ადამიანები უპარტიო, დამოუკიდებელი დეპუტატები იყვნენ. ნაციონალებს პირველივე დღიდან ვებრძოდი, მაშინ კი მათ გვერდზე „თავისუფალი დემოკრატები“, „რესპუბლიკელები“, „კონსერვატორები“ და „ეროვნული ფორუმი“ იყვნენ. ალასანიას გუნდის წევრები საერთაშორისო ორგანიზაციებში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების წარმოამდგენლები 2009 წლამდე იყვნენ, ზემოთ აღნიშნულმა პარტიებმა ხელისუფლების რიგები ეტაპობრივად დატოვეს და ხაზი სად გავავლო? — 2005 წელთან, 2009 წელთან თუ 2012 წელთან? უმრავლესობაში გადმოსული ადმიანები ორი წელია ნაციონალებთან ურთიერთობაში არ არიან და თან მაჟორიტარი დეპუტატები არიან. ნაციონალებმა მათი სიძლიერე რაიონში გამოიყენეს. ეს ადამიანები საკუთარი რაიონისთვის სიკეთეს აკეთებენ და როცა ნახეს, რომ ნაციონალებისგან გამიჯვნის საშუალება ჰქონდათ, მათ უმცირესობის რიგები დატოვეს. ყველასგან გმირობას ნუ მოვითხოვთ!

**— თქვენ რიგებში გადმოსულ ყოფილ ნაციონალებს ბიზნესინტერესები აქვთ და გამორიცხავთ, რომ მათი გადაწყვეტილების მიზეზიც მათი ბიზნესის დაცვაა?**

— ამ საკითხზე არ ვიკამათოთ, რადგან მე ჩემი შეხედულება მაქვს, თქვენ — თქვენი. თავის შეცდომას რაც უფრო მეტი ადამიანი მოინანიებს, მით უკეთესია. ამ პირებიდან ბევრმა თქვა, რომ თუკი ნაციონალების გვერდით არ იქნებოდნენ, მათ გაანადგურებდნენ. მსგავსი რამ ნაციონალებს არ გაუკეთებიათ და გიკვირთ? ნაციონალების შეთავაზებაზე მათ უარი რომ ეთქვათ, ერთ თვეში თავს შეთითხნილი ბრალდებით ციხეში ამოყოფდნენ. თუ ეს ადამიანები შენს გვერდზე დგანან, ხელი რატომ უნდა კრა?

**— დავით ბაქრაძემ უმცირესობა რომ დატოვოს, მას უმრავლესობაში მიიღებთ?**

— ბაქრაძემ ორწლიანი კარანტინის პერიოდი გაიროს და რატომ არ მივიღებთ? ბაქრაძე საინტერესო პიროვნება, გამოცდილი პოლიტიკოსი და გაწონასწორებული ადამიანია. თუკი ის მიხვდება, რომ ცუდ წრეში ყოფნა უწევს და ნაციონალებს გაემიჯნება, ამაში ცუდი რა არის? ადამიანი დანაშაულს რომ სჩადის და სასჯელს მოიხდის, მას ძველი წარსული აღარ უნდა გავუხსენოთ. პრობლემებს იქ რატომ ვეძებთ, სადაც არ არის? ზოგიერთი ადამიანი უმრავლესობის დაშლას ელოდა, რომ საქართველოს მთავრობას პარლამენტში დასაყრდენი ძალა არ ჰყოლოდა და პოლიტიკური კრიზისი გამოწვეულიყო. ყველას სურვილი ჰქონდა, რომ პოლიტიკური კრიზისი შექმნილიყო და ეთქვათ, რიგგარეშე არჩევნები დანიშნეთო. ხვალ, გივი თარგამაძემ „ნაციონალური მოძრაობა“ რომ დატოვოს და მან თავი საზოგადოებას დაუხაროს, მას ყველა ტაშს დაუკრავს. ამ საქციელს მას ყველა მოუწონებს და მას არავინ ხელს არ კრავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის იმავე დღეს უმრავლესობის წევრი გახდება.

**— „თავისუფალი დემოკრატების“ არყოფნით კოალიცია დანაკლისს განიცდის?**

— არ ვიტყვი, რომ დანაკლისს განვიცდით. დანაკლისი რაში უნდა განვიცადო? ადამიანურად მათთან ურთიერთობა პარლამენტში მაქვს. მათ შორის ბევრი ჩემი მეგობარია. გული მწყდება, რომ ისინი უმრავლესობაში არ არიან. როცა უმრავლესობაში საკითხებს ვიხილავთ, მათი არყოფნა მაკლია, მაგრამ იმაზე საუბარი, რომ მათი არყოფნით პრობლემები შეიქმნა, არასწორია.

**— გამორიცხავთ, რომ 2015 წლის გაზაფხული პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებით დაიწყოს?**

— ივანიშვილის პარტიაში დაბრუნებას ორი ხელით მივესალმები. შეიძლება, ბატონმა ბიძინამ ნაბიჯი არ გადადგას და სახელისუფლებო სტრუქტურებში არ დაბრუნდეს, მაგრამ ჩემთვის მისი პარტიული იდენტობა საინტერესო იქნებოდა. თუკი ის გადაწყვეტილებას მიიღებს, რომ რომელიმე პარტიის წევრი გახდეს, ეს კარგი იქნება, რადგან როგორც რიგითი წევრი ის უფლებამოსილი იქნება პარტიის საქმიანობაში უფრო ღრმად ჩაიხედოს.

**— უმრავლესობა ივანიშვილს „ბაგრატიონში“ შეხვდა, ამ საკითხზე არ ესაუბრეთ?**

— მასთან ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა. გამიკირდა, როდესაც ამ შეხვედრის თაობაზე ვნებათაღელვა ატყდა. თუკი ერთ-ერთ ტელევიზიას უფლება აქვს კორპორატიული საღამოები გამართოს, ჩვენ ეს არ შეგვიძლია? ჩემი ინიციატივა იყო, რომ უმრავლესობა ბატონ ბიძინას შეხვედროდა.

**— ანუ, ყოფილი პრემიერის მასპინძელი უმრავლესობა იყო?**

— დიახ. მსგავსი იდეა მე მომივიდა, ბატონ ბიძინას დავურეკე, წინადადება გავაცანი და მან თქვა, რატომაც არა, თქვენს მიღებას დავესწრებიო.

**— სუფრასთან პოლიტიკაზე არ ისაუბრეთ?**

— შეიძლება, სუფრასთან პოლიტიკა არ იყოს? საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ორი კაცი რომ დაჯდება, პოლიტიკაზე საუბრობს.

**— როგორ ფიქრობთ, წლის პოლიტიკოსი ვინ არის?**

— წლის პოლიტიკოსი ირაკლი ღარიბაშვილია, რომელსაც ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა აქვს. მის ყოველ სიტყვას წონიან და შემდეგ გარშემო ფრაზებს შემოულაგებენ ხოლმე. მას რთული მისია აქვს. მან ეს წელი პირნათლად გაიარა. შეიძლება, ხარვეზები იყო, მაგრამ შეცდომები იმას არა აქვს, ვინც არაფერს აკეთებს.

**თეონა მანაგაძე**

**ალიანჩალიანი**

## წინაპართა ხსოვნისადმი ჩვენი მთავრობის დამოკიდებულება

**ამის შესახებ საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სოფელ წიწამურში ილია ჭავჭავაძის ძეგლის დათვალიერების შემდეგ განაცხადა.**

**საქართველოს მთავრობის მეთაურმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან და მცხეთა—მთიანეთის გუბერნატორთან ერთად, რეაბილიტირებული ძეგლი დაათვალიერა.**



**„სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ჩვენი დიდი მამულიშვილის ძეგლი მიტოვებული და ნახევრად დანგრეული იყო. შარშან დაიწყო ძეგლის რეკონსტრუქცია და ოთხ თვეში დასრულდა. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც სარეაბილიტაციო სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა“, — აღნიშნა პრემიერმა.**

**ილია ჭავჭავაძის ძეგლის რეაბილიტაცია, საქართველოს მთავრობის დავალებით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.**

## ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რიქსოს ბორჯომი“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ლიკანში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რიქსოს ბორჯომი“ გახსნა.**

**როგორც პრემიერმა განაცხადა, დღევანდელი დღე საკმაოდ მნიშვნელოვანია.**

**„კიდევ ერთი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნა ბორჯომში, კერძოდ ლიკანში. ლიკანი ყოველთვის განთქმული იყო, როგორც ყველაზე ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტი. მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან სერიოზული ქართულ-ყაზახური ინვესტიცია. ეს პროექტი შეჩერებული იყო, როდესაც ახალი მენეჯმენტი მოვიდა საპარტნიორო ფონდში. ეს პროექტი განახორციელა საპარტნიორო ფონდმა ყაზახურ კომპანიასთან ერთად. ჩვენ სულ რაღაც ერთ წელიწადში შევძელით ამ ახალი სასტუმროს გახსნა, ეს არის სრულყოფილი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო. მე ვიცი, რომ უკვე არის დაჯავშნილი მთელი სასტუმრო, ყველა ნომერი, ვინაიდან, ლიკანი ყოველთვის იყო განთქმული“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.**

**მთავრობის მეთაურის განცხადებით, ახალი სასტუმრო მნიშვნელოვანი შენაძენია ამ რეგიონისთვის, რადგან ეს ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკის გამოცოცხლებას.**

**„სასტუმროს მშენებლობაზე დასაქმებული იყო 600 ადამიანი. ახალ სასტუმროში 200-ზე მეტი ადამიანი იქნება დასაქმებული. ეს პროექტი 40 მილიონზე მეტი დაჯდა და რაც მთავარია, შემოვიდა ცნობილი ბრენდი საქართველოში „რიქსოსი“. მინდა მადლობა გადავუხადო ამ პროექტში მონაწილეობისთვის კომპანიას, მე მიმაჩნია, რომ მსგავსი პროექტებით ჩვენ რეგიონში ეკონომიკას გამოვაცოცხლებთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.**

**ინტერპრესი**

◉ ვიდრე ბინას შეიძენდეთ



# მოსთხოვეთ მშენებლობის დამკვეთებს შენობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები!

**ქვეყანაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ხარისხს ფაქტობრივად, არც ერთი ოფიციალური უწყება არ აკონტროლებს. მოქმედი კანონმდებლობით, შენობის მდგრადობაზე, საიმედოობასა და სიმტკიცეზე პასუხისმგებლობა მშენებლობის დამკვეთს ეკისრება. ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე, სოკოსავით ამოსულ ახალაშენებულ, თუ მშენებარე კორპუსებში ბინის შეძენის მსურველთა რაოდენობა საკმაოდ ბევრია, თუმცა იშვიათია, რომ ბინის შეძენამდე მყიდველი შენობის ხარისხით ან საიმედოობით დაინტერესდეს.**

სანამ სტატიაზე მუშაობას დავიწყებდი მრავალჯერ ნანახი მშენებარე კორპუსები კიდევ ერთხელ შევათვალიერე. განსაკუთრებით თვალშისაცემია თხელი კედლები.

**„უკვე ხუთი წელია, რაც ახალაშენებულ მრავალბინიან კორპუსში ვცხოვრობ. მყარია თუ არა, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით, რადგან არ შემიმოწმებია, მაგრამ ახალ კორპუსში კანალიზაცია პირველსავე წელს რომ გასკდება, კორპუსის საძირკველში წყალი რომ ჩადგება და კომპანია პრობლემის მოგვარებას დროზე ვერ უზრუნველყოფს, ამას რა ჰქვია? ერთი შეხედვით ბინის კედლები თითქოს ნორმალური სისქისაა, მაგრამ ზამთარში სითბოს ვერ ინარჩუნებს და იმხელა გადასახადი მომდის, რომ ზამთრის დადგომის მეშინია. არადა, ჩემი მშობლები ძველ, ჩეხური პროექტის ბინაში ცხოვრობენ, გაზის ერთი გამათბობელი აქვთ არცთუ პატარა ბინაში და ბევრად უფრო თბილა“,** — გვითხრა ხატია გვარმიანმა.

გიორგი, 45 წლის: **„საკმაოდ მაღალი ფასი აქვს ბინებს ახალაშენებულ კორპუსში. თანხას შეაკოწიწებ, ბანკის ვალს დაიმატებ და ნუთუ იმის გარანტიაც არ უნდა გქონდეს, რომ შენობა ხარისხიანი და უსაფრთხოა? ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ასეთი კორპუსები ათეულ წლებზე გათვლილი არ არის. როგორ შეიძლება ნახევარ წელიწადში ან ერთ წელში მშენებლობა დაასრულო? ქოხს ხომ არ აშენებენ, ეს უნდა იყოს კაპიტალური შენობა, სადაც თაობებმა უნდა იცხოვრონ. ბინა ნივთი ხომ არ არის, ათ წელში ერთხელ გამოცვალო. ჩემი სახლის გვერდით ახალი კორპუსი შენდება. წლების წინ იმ ადგილას საავადმყოფოს აშენება დაიწყეს, მერე ომი დაიწყო და მშენებლობა გაჩერდა. დაახლოებით 8-9-სართულიანი შენობაა. წლები აწვიმდა, ათოვდა, არმატურა გაფუჭდა და შარშან ისევ განაახლეს მშენებლობა. ახლა ის საიმედოა? რამდენად მყარია საძირკველი, საიდან უნდა გავიგო? ვიღაცას პასუხი ხომ უნდა მოსთხოვო ამის გამო?“**

ნინო, 29 წლის: **„მშენებლობის ხარისხზე ალბათ თავად სამშენებლო კომპანიის ავტორიტეტი და გამოცდილება მეტყველებს. უამრავი ადამიანი ყიდულობს ბინას ახალაშენებულ კორპუსში და თავად დეველოპერი გაძლევს გარანტიას, რომ სახლი მყარია, ხარისხიანი, თბოიზოლაცია აქვს... უხარისხობის პრობლემა, ვფიქრობ, უფრო მეტად მცირე სამშენებლო კომპანიების პრობლემაა, რომლებიც ცალკეულ მცირე პროექტებს ახორციელებენ და მომხმარებლის წინაშე პასუხისმგებლობაც ნაკლები აქვთ - დღეს აშენებენ, ხვალ კი, შესაძლოა, ლიკვიდაცია გამოაცხადონ“.**

**ალბათ, თბილისი მსოფლიოში ერთადერთი ქალაქია, სადაც მშენებლობა ყოვლად შეუმოწმებლად მიმდინარეობს**

სამშენებლო სამუშაოები ხარისხიანად მიმდინარეობს თუ არა, ამის გაგება თავად სამშენებლო კომპანიებთან ვცადეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, კომენტარზე უარი განაცხადეს.

ასოციაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ანზორ საკანდელიძე** bpn.ge-თან საუბარში აცხადებს, რომ მშენებლობები ყოველგვარი კონტროლის გარეშე მიმდინარეობს.

**„საინჟინრო-გეოლოგიურ სამუშაოებს ძალიან ფორმალურად და ზერელედ ატარებენ არაკომპეტენტური, არაკვალიფიციური სპეციალისტები. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ცუდი მდგომარეობაა. გრუნტი არ მოწმდება. რა სიმაღლისაც შენობაა, მიწისქვეშ დაახლოებით იმ სიმაღლის გრუნტის შემოწმება უნდა მოხდეს. ჩვენთან 2-3 მეტრს მოჩიჩქნიან და ისე გააფორმებენ, თითქოს უფრო მეტ სიღრმეში ჩავიდნენ. ეს საკითხი მიშვებულია. საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ, დასკვნა გეოფიზიკის ინსტიტუტიდან უნდა აიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კატასტროფამდე მივალთ. ქალაქში თუ გაივლით, დაინახავთ, ახალი კორპუსები რა სავალალო მდგომარეობაშია. შემომზღუდავი კონსტრუქციების გარე კედლების თბოგამტარობის კოეფიციენტი დაცული არ არის. კიდევაც რომ დაიცვან, ძველი ნორმებია შემორჩენილი. ახალი ნორმები მიღებული არ არის. საქართველოში საცხოვრებელი შენობების გათბობაზე ოთხჯერ მეტი სათბობენერგეტიკული დანახარჯებია, ვიდრე ევროპაში. თხელი კედლები არავითარ გაანგარიშებაში არ ჯდება. ამიტომ, სითბოს დიდი დანაკარგებია. სამწუხაროდ, ამას არავინ აკონტროლებს. ჩვენ რამდენჯერმე დავაყენეთ საკითხი, რომ თბოგამტარობის კოეფიციენტი, რომელზეც დამოკიდებულია შენობის თბომომარაგება, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული იყოს. თუმცა, ამ მოთხოვნას მერია იმ მიზეზით არ აკმაყოფილებს, რომ ეს მშენებლობის თვითღირებულებას გააძვირებსო. ალბათ, თბილისი მსოფლიოში ერთადერთი ქალაქია, სადაც მშენებლობა ყოვლად შეუმოწმებლად მიმდინარეობს. რაც მთავარია, სეისმომედეგობა არ მოწმდება. ეს დიდი დანაშაულია,“** — საუბრობს საკანდელიძე.

**Bpn.ge** კომენტარისთვის დედაქალაქის მერიას დაუკავშირდა. როგორც მერიის პრესასთან ურთიერთობის სამსახურში განმარტეს, თბილისში მიმდინარე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფოს ზედამხედველობას მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ახორციელებს.

**„აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საჯარიმო სანქციების დაკისრებას ექვემდებარება მშენებლობის განხორციელება შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის პირობების დარღვევით და აგრეთვე, მშენებლობის წარმოებისას, მშენებლობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დარღვევა. მშენებლობის სანებართვო პირობების დადგენა ხორციელდება ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ მიერ შეთანხმებული პროექტით, რომლის შემადგენლობა მოიცავს მხოლოდ ასაშენებელი შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ მხარეს, ხოლო გამოყენებული სამშენებლო მასალების ხარისხი არ წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სანებართვო პირობების კონტროლი მოიცავს განხორციელებული მშენებლობის შესაბამისობის დადგენას მხოლოდ პროექტის არქიტექტურულ მხარესთან. რაც შეეხება მშენებლობის უსაფრთხოების წესების დაცვის კონტროლს, საჯარიმო სანქციების დაკისრებას ექვემდებარება მშენებლობის განხორციელებისას სამშენებლო საქმიანობის იმგვარად წარმართვა, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ან საკუთრებას. განვმარტავთ, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შენობა-ნაგებობათა მდგრადობაზე, კონსტრუქციულ საიმედოობასა და სიმტკიცეზე პასუხიმგებლობა ეკისრება მშენებლობის დამკვეთს,“** — აცხადებენ მერიაში

ასე რომ, სანამ ახალ აშენებულ კორპუსში ბინის შეძენას გადაწყვეტთ, კარგი იქნება თუ მშენებლობის დამკვეთებს შენობის უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტს მოსთხოვთ.

**სალომე გოგოხია**

◉ გუშინ, ხვალ...

# 2014 წელს განხორციელებული და 2015 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები

**11 თვის ოპერატიული მონაცემების თანახმად, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გაიხარჯა წლიური გეგმის 86 პროცენტი — 337,2 მლნ ლარი.**

სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული 11 თვის ანგარიშიდან ჩანს, თუ რაში დაიხარჯა ეს სახსრები და რა ღონისძიებებია დაგეგმილი 2015 წლისთვის.

**საავტომობილო გზების მიმართულებით, 11 თვის მდგომარეობით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 291 კმ. გზას, და 42 ხიდს და აშენდა 10 ახალი ხიდი, დამატებით, შემუშავდა, როშკა-არხოტის გზის მშენებლობისთვის საჭირო პროექტი, რომლის მშენებლობაც 2015 წლიდან დაიწყება. გზის გაჭრის შემდეგ მშობლიურ მხარეში, სავარაუდოდ, 30-ზე მეტი ოჯახი აპირებს დაბრუნებას.**

**წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციის მიმართულებით პროექტების განხორციელებაში სახელმწიფოს ევროპის საინვესტიციო ბანკი დაეხ-**



**მარა. ბანკის პირველი სესხის (40 მლნ ევროს) ფარგლებში დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 12 დასახლებულ პუნქტში. ევროკავშირთან ხელმოწერილი მეორე, 40 მილიონევროიანი სესხის ფარგლებში დამატებით, დაკონტრაქტდა, 24 პროექტი. შედეგად, სასმელი წყლის ხარისხი გაუმჯობესდა: წყალტუბოში, სურამში, ზესტაფონში, სართიჭალაში, მარნეულში, კასპში, თერჯოლაში, ფოთსა და სენაკში.**

აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით კი, დასრულდა 30 მლნ ლარამდე ღირებულების პირველი ფაზა სასმელი წყლის ქსელის მშენებლობისთვის ანაკლიასა და მესტიაში. 108 მლნ დოლარის ფარგლებში ხორციელდება ზუგდიდისა და ფოთის წყარლმომარაგების სისტემის მშენებლობა. მასშტაბური პროექტები მიმდინარეობს აგრეთვე ქუთაისში, ფოთსა და ანაკლიაში — სულ, 60 მლნ ლარის ღირებულების. დამატებით დაკონტრაქტდა ურეკისა და მესტიის წყლის სისტემის მოწყობის პროექტი, რომლის დასრულების შემდეგაც 300 ათას აბონენტს ექნება 24-საათიანი წყალმომარაგება: ანაკლიაში, მესტიაში, ურეკში, შეკვეთილში, ფოთში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

**ტურისტული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, 2014 წელს დაიწყო და ნაწილობრივ დასრულდა 33 პროექტი, ჯამური ღირებულებით, 34,1 მლნ ლარი. დამატებით, 2015 წელს დაიწყება ასევე მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაფინანსებული 75 მლნ დოლარის ღირებულების პროექტი, რომლის ფარგლებშიც იგეგმება მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის ტურისტული ინფრასტრუქტურის განახლება.**

2015 წლიდან იწყება თეთნულდის სათხილამურო კურორტის მშენებლობა. პროექტს საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობები აფინანსებენ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში, უკვე დაკონტრაქტებულია 30.8 მლნ ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები. პროექტის მთლიანი ღირებულებაა 40 მლნ ევრო. დასრულების შემდეგ კურორტი იქნება ამიერკავკასიაში ყველაზე გრძელი - 9,5 კმ სიგრძის — და ყველაზე დიდი ვერტიკალური ვარდნის მქონე სათხილამურო ტრასა, რომელიც ერთდროულად 4 100 მოთხილამურეს მოემსახურება.

**2015 წლის ბიუჯეტით, რეგიონალური და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ჯამური ბიუჯეტი მილიარდი ლარია, აქედან 400 მილიონი საბიუჯეტო, 30 მილიონი გრანტი, ხოლო 570 მილიონი კრედიტია.**

**ნინო ევგენიძე,**
**რადიო „თავისუფლება“**

◉ ალიან-ჩალიანი

## სოლოლაკის ქედზე სამუშაოები არ მიმდინარეობს

**ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მედიაში გავრცელებული იმ ინფორმაციის კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც სოლოლაკის ქედზე სამშენებლო სამუშაოები უკვე დაიწყო.**

**„როგორც ჩვენ გადავამოწმეთ, სოლოლაკის ქედზე ჯერჯერობით სამუშაოები არ მიმდინარეობს. ზედამხედველობის სამსახურმა გადაამოწმა შესაბამის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა თუ არა სამუშაოები და არ დადასტურდა, თუმცა, მათ აქვთ შესაბამისი უფლება იმისა, რომ გარკვეული სამუშაოები უკვე დაიწყონ, მაგრამ დღესდღეობით, სამუშაოები დაწყებული არ არის“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.**

**„პანორამა თბილისის“ პროექტის განხორციელების მიზნით, სოლოლაკის ქედს რეკრეაციული ზონის სტატუსი მოეხსნა.**

**ინტერპრესი**

## ⊙ ახლა კი დროა...



# როდის გადაწყდება საკითხი?

**საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა (იგულისხმება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები), მაგრამ წინა ხელისუფლება მაინც დაუნდობლად ანიავებდა მიწებს. კანონიერ მფლობელებს რეკრეაციულობის მომიზეზებით, არნახულად დაბალი ანაზღაურების საფასურად აიძულებდა, მიეტოვებინათ კარ-მიდამო. სახელმწიფო მიწებს ზოგს არქეოლოგიურ ზონებად აცხადებდა, ზოგს – რად და – ზოგს რად.**

ცდილობდნენ, სავარგულები არაფრის დიდებით არ დაეთმოთ ადგილობრივებისთვის, მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებულებისათვის, სოფლის საკრებულობისთვის საკუთრებაში გადასაცემად. სამაგიეროდ, „სასიცოცხლო" „ისტორიულ" ნაკვეთებს მაცხოვრებლებთან კანონით გათვალისწინებული შეთანხმების ნაცვლად, ჩუმად ასხვისებდნენ ახლობლებსა და „ერთგულ თანაპარტიელებზე" გაურკვეველი წარმომავლობისა და ქვეყნის წინაშე „დამსახურების" მქონე უცხოტომელებზე (ნაცებს ხომ ქვეყანა ნაცმოძრაობასთან ჰქონდათ გაიგივებული, ბიუჯეტი – საკუთარ ხაზინასთან და ა.შ.) ზოგჯერ სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად, მაგრამ, როგორც ახლა ირკვევა, ყველაფერი ეს ლამაზი თვალებისთვის არ კეთდებოდა.

2008 წელს იმჟამინდელი პრეზიდენტის მ. სააკაშვილის განკარგულებით, აჭარის სოფელ გონიოში ადგილობრივების არაერთგზისი თხოვნის შედეგად, სოფლის ტერიტორიაზე სავარგულები მცხოვრებლებს გადაეცათ კერძო საკუთრებაში, მაგრამ როგორც ადგილობრივი მკვიდრი **რეზო ბოლქვაძე** აცხადებს, ტერიტორიას აჭარის მაშინდელმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ დაადგა თვალი. როგორც ჩანს, სარფიანად უნდოდა გაყიდვა, მაგრამ მას წინ ელობებოდა „მაღლის" განკარგულება: როგორ შეჰკადრებდა აჭარის თავკაცი „მამა მარჩენალის" ხელმოწერილი დოკუმენტის გაწვევას (მაშინ ხომ მისთვისაც გამოინახებოდა ერთი საფერფლე!), მაგრამ საკანონმდებლო ბაზის გაქექვის მერე გამოსავალიც მოიძებნა: **ხელვაჩაურის გამგეობამ ჯერ კიდევ პრეზიდენტის ძალაუფლების მქონე სააკაშვილის განკარგულება გააუქმა (იმ დროს „პირველთან" შეუთანხმებლად ამას ვერავინ ბედავდა!) გლეხებს უკვე დამუშავებული მიწის ნაკვეთები ჩამოერთვათ. მოსავლის აღების მომლოდინე ადგილობრივებს კი აუხსნეს, რომ კუთვნილის წართმევა სააკაშვილის შეცდომაში შეყვანით იყო გამოწვეული(?!) თუმცა, ვარშალომიძემ სურვილის რეალობად ქცევა ვერ მოასწრო. ნაცმოძს უბრალოდ დრო არ ეყო. პრობლემა კი მოუგვარებელი დარჩა.** მოსახლეობა ითხოვს „შეცდომის" გამოსწორებას და შემოსავლის ერთადერთი წყაროს უკან დაბრუნებას.

> **წინა ხელისუფლების „დანატოვარს" ახლებმა უნდა მიხედონ**

საკითხის მოწესრიგებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ტერიტორია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რის გამოც, აჭარის კულტურული მემკიდრეობის სააგენტო მიწაზე მხოლოდ არქეოლოგიურ-კვლევით და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებას თვლის მიზანშეწონილად. გონიოელებმა, პროცესების დაჩქარებისა და მათ გასაჭირზე ხელისუფლების ყურადღების მიქცევის მიზნით, საპროტესტო აქციები არაერთგზის ჩაატარეს. საპასუხოდ, მათ დასაშლელად, მომწამლავი გაზი, კაუჩუკის ხელჯოხები ან სხვა რაიმე კი არ გამოუყენებიათ წინა ხელისუფლების მსგავსად, არამედ უკმაყოფილოებთან მოლაპარაკებაზე წავიდნენ, ამბობს ადგილობრივ მცხოვრებთა უფლებადამცველი, ადვოკატი **თამაზ ბაკურიძე**. იგი აცხადებს, რომ მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნით შეიქმნა საკითხის შემსწავლელთა კომისია, რომელშიც აჭარის მთავრობის, ძეგლთა დაცვის სააგენტოსა და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, უხვად არიან საზოგადოების არასამთავრობო წევრებიც, უფლებადამცველები, იურისტები, ადვოკატები.

ბაკურიძე ახმოვანებს კომისიის შედეგებს და ამბობს, რომ, როგორც სამუშაო პროცესში გამოირკვა, მიმდებარე ტერიტორიის დიდი ნაწილი არ შედის კულტურულ მემკვიდრეობაში. მოსახლეობასთან მიღწეულიქნა შეთანხმება, რომ არ ეწარმოებინათ ძეგლისთვის საშიშროების შემქმნელი სამუშაოები.

– ამ ეტაპზე, – განაგრძობს გონიოელთა უფლებადამცველი, – თითქმის ყველა საკითხი განხილულია, თუმცა, აღიარების კომისიას რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია, რადგანაც ტერიტორია აჭარის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს კუთვნილებაა. ამის გამო გარკვეული შეზღუდვები არსებობს. აქედან გამომდინარე, საკითხის მოსახლეობის სასარგებლოდ გადაწყვეტა წარმოუდგენელია 1-2 წელიწადში, რადგან ზონის ძეგლად არსებობას უამრავი წყარო ადასტურებს. რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, აჭარის მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს **დავით გაბაიძეს** მიაჩნია, რომ საკითხი მათს კომპეტენციაში არ შედის. ეს უნდა მოწესრიგდეს „მიწის შესახებ სასოფლო-სამეურნეო კანონში" ცვლილებებით, რაზეც აჭარის უზენაეს საბჭოში საინიციატივო ცვლილებები უკვე შეტანილია. თუ სიმართლემ იზეიმა და მიწები საკუთრებაში აღიარეს, საქმეში უკვე ჩაერთვება ქვეყნის კულტურის სამინისტრო, რომელიც თითოეულ მიწის მესაკუთრესთან გააფორმებს ხელშეკრულებას იმის თაობაზე, რომ მიწის დამუშავების პროცესში შესაძლო კულტურული ღირებულებების აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაოები შეჩერდება და ამის შესახებ მფლობელი (მფლობელები) ვალდებულნი იქნებიან, აცნობონ ძეგლთა დაცვის სააგენტოს, – აცხადებს აჭარის მინისტრთა საბჭოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

თუ საკითხის გადაწყვეტა დროში გაიწელა, გონიოს მოსახლეობა აპირებს პროტესტის ნიშნად გონიო-სარფის საავტომობილო მონაკვეთის გადაკეტვას.

**P. S. გასული წლის შედეგების შეჯამებისას „ნაციონალების" რუპორის „რუსთავი-2"-ის ეთერში ღვარძლიანად გაისმა საპროტესტო აქციების რაოდენობის შედარება „ვარდოსნების" მმართველობის დროს, ანუ საპროტესტო აქციების რაოდენობა გაიზარდაო. შეიძლება ეს მართალიც არის, რადგან „მაშინ" ყოველ საპროტესტო აქციას მთავრობა არაადეკვატური ძალის გამოყენებით არბევდა, რასაც თან სდევდა აქციის მონაწილეთა შსს-ში და პროკურატურაში დაბარება, მათ ახლობლებზე ზეწოლა, დაშინება" და ა.შ. „გამარჯვებული" ხალხის ტელევიზია და მისი მსგავსები ბლოკავდნენ საპროტესტო აქციების ტელეეთერში გაშვებას, რითაც რაღაც შედეგებსაც მიაღწიეს.**

ზაზა ბილიხოძე

## ⊙ როცა ცოდნა არ დასდევს მცოდნელს!

# პროფესიონალი მზარეულებიც და მიმტანებიც გვაკლია!

**უმუშევრობა თანამედროვე საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებს შორის უმთავრესია. სწორედ უმუშევრობით უნდა აიხსნას ის, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი უცხოეთში საქმიანობს და უკან დაბრუნებას არ ჩქარობს. თუმცა, საქართველოშიც არის პროფესიები, რომლებზეც მოთხოვნა მაღალია. როგორც წესი, ამ პროფესიის წარმომადგენლები სამსახურს შედარებით იოლად შოულობენ და მათზე მოთხოვნაც უფრო მაღალია. bpn.ge დაუკავშირდა დასაქმების რამდენიმე სააგენტოს და ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების დასახელება სთხოვა.**

როგორც სააგენტო hr.ge-ს რეგიონულმა მენეჯერმა, ინგა შახბაზიანმა გვითხრა, **პირველი ადგილი ამ მხრივ გაყიდვების კატეგორიას უკავია – მისი წილი ვაკანსიებს შორის დაახლოებით 20 პროცენტია, შემდეგ მოდის სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურე პერსონალი– 10 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილზე ადმინისტრაციული თანამდებობებია – 8 პროცენტით. ამის შემდეგ უკვე სხვა პროფესიები მოდის.**

მენეჯერებისა და ფინანსისტების უპირატესობაზე საუბრობს პროექტ job.geo.com-ის მენეჯერი დავით არველაძეც: **„ჩვენი სააგენტოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტი მოთხოვნა გაყიდვების მენეჯერის პროფესიაზეა – ვაკანსიების 30 პროცენტი სწორედ გაყიდვების მენეჯერის პოსტზე შემოდის, შეიძლება სახელების კომბინაცია სხვადასხვა იყოს, მაგრამ რეალურად სხვადასხვა პროდუქციის რეალიზატორები სჭირდებათ. ამავე კატეგორიაში შედის დისტრიბუციაც – როგორც საცალო, ასევე საბითუმო გაყიდვები, ასევე მარკეტინგის სპეციალისტები და ოფის-მენეჯერები. ხშირად სჭირდებათ ბუღალტრები და ადმინისტრაციული პერსონალიც. გარდა ამისა, მოთხოვნა საკმაოდ მაღალია პროგრამისტებზე და კომპიუტერის სპეციალისტებზეც. ისინი თითქმის ყველგან სჭირდებათ, ამიტომ, კომპიუტერის სპეციალისტი ერთ-ერთ მოთხოვნად და პერსპექტიულ სპეციალობად შეიძლება დასახელდეს საქართველოში".**

როგორც ჩანს, **თბილისში საკმაოდ მაღალია მოთხოვნა ძიძებსა და დამხმარე ქალბატონებზე, რომლებსაც ძირითადად, მაღალშემოსავლიანი ოჯახები ქირაობენ.** ამის შესახებ შპს „გადიას" გენერალურმა დირექტორმა თამარ ფარულავამ გვითხრა: **„ჩვენს ქვეყანაში საქმიანი ქალების რიცხვი თანდათან იზრდება, ამიტომ, ხშირად ხდება, რომ დედა მთელი დღე სამსახურშია და ბავშვისთვის ძიძის აყვანა აუცილებელია. ძალიან ბევრი მსურველი გვყავს და შესაბამისი ვაკანსიებიც გვაქვს, მაგრამ მხოლოდ გამოცდილ კადრებს ვანიჭებთ უპირატესობას. უკვე მეათე წელია, რაც ჩვენი ფირმა არსებობს და ბოლო წლებში ძიძებზე მოთხოვნა აშკარად გაიზარდა. კარგ ძიძას 450 ლარიდან 1000 ლარამდე უხდიან, გააჩნია, რა დროს ატარებს ის ბავშვთან და როგორია მოლაპარაკების პირობები. გარდა ძიძებისა, მაღალშემოსავლიან ოჯახებს ხშირად სჭირდებათ დამხმარე ქალბატონები და ამ ვაკანსიასაც გვიკვეთავენ".**

## 10 ყველაზე მოთხოვნადი პროფესია საქართველოში

კომპანია „ბრეინ სორს ინტერნეიშენალის" მმართველი პარტნიორი საქართველოში ნიკოლოზ ნამორაძე, ძირითადად საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომლობს და ამბობს, რომ მათ საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები აქვთ: **„ჩვენი ძირითადი კლიენტები არიან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც თავიანთი წარმომადგენლობები აქვთ საქართველოში. მათ სურთ აქაურ ოფისებში ქართველი სპეციალისტები დასაქმდნენ და ადგილობრივ კადრებს გვიკვეთავენ. სხვათა შორის, ამ ორგანიზაციებს ძალიან მკაცრი მოთხოვნები აქვთ: გარდა გამოცდილებისა და ენების ცოდნისა, ბევრ რამეს აქცევენ ყურადღებას. დავუშვათ დრესკოდს, იმას, თუ როგორ მიდის ადამიანი გასაუბრებაზე: როდესაც საერთაშორისო კომპანიის გენერალური მენეჯერი გინდა გახდე და გასაუბრებაზე ჯინსებსა და სვიტერში გამოწყობილი მიხვალ, ეს მათთვის მიუღებელია და ამ გასაუბრების შედეგზეც აისახება...**

**ახლა, რაც შეეხება ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს – პირველ რიგში გაყიდვები უნდა დავასახელო – იქნება ეს გაყიდვების მენეჯერი, სპეციალისტი, ასევე მარკეტინგის მენეჯერი, თუ ბრენდმენეჯერი. საკმაოდ მოთხოვნადია ფინანსური მენეჯერისა და დირექტორის სპეციალობებიც, ასევე – მოლარისა და ბუღალტრის, მაღალია მოთხოვნა ლოჯისტიკისა და გადაზიდვის სფეროს სპეციალისტებზეც – იქნება ეს სახმელეთო, სარკინიგზო თუ საზღვაო გადაზიდვები. ასევე მოთხოვნადია საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებიც – აიტი მენეჯერი, პროგრამისტი, ვებგვერდის დეველოპერი და ა.შ... ფარმაცევტულ კომპანიებსაც აქვთ ვაკანსიები, მაგრამ ისინი ძირითადად დირექტორებისა და ხელმძღვანელების ვაკანსიებს გვიკვეთავენ. ეს ის ვაკანსიებია, რომლებიც ჩვენს პრაქტიკაში ძალზე ხშირად გვხვდება, რაც შეეხება იურისტს, ან ფილოლოგს, მათი რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში საკმარისია და, როგორც ჩანს, კარგი იურისტისა და ფილოლოგის მოძებნა რთული არ არის".**



ხათუნა ჩიგოგიძე

**P. S. დასაქმების** სააგენტოების მიერ დასახელებული ვაკანსიების მიხედვით ნათელი ხდება, რომ საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების სია დაახლოებით ასეთია: მენეჯერი, ფინანსისტი, მოლარე-ბუღალტერი, ადმინისტრატორი, ფარმაცევტი, მზარეული, მიმტანი, ძიძა, სტილისტი, დისტრიბუტორი. ოღონდ, სამსახურის მაძიებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ორი რამ: მათი კომპეტენცია საკმაოდ მაღალი უნდა იყოს, ხოლო მათ მიერ შესრულებული სამუშაო დამსაქმებლის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

ხ. ჩ.

დედაქალაქი. სატრანსპორტო თემის გაგრძელება



# „დომხალი“, რომელიც ქალაქს არ სჭირდება

**ბოლოდროინდელ შიდაპოლიტიკურ ვნებათა დროდადრო აზვირთებასთან ერთად თბილისის მოსახლეობას მუდმივად შემაწუხებელ ფონად სატრანსპორტო პრობლემა გადაექცა, რასაც სარედაქციო ფოსტაც, სატელეფონო ზარებიც მოწმობს. თემისადმი მიძღვნილ რამდენიმე პუბლიკაციას ფართო გამოხმაურება მოჰყვა — ერთ-ერთ მათგანზე წინა პუბლკაციაში გვქონდა კიდეც ლაპარაკი. ამ ჯერზე თემა გვინდა ჩვენი კიდევ ერთი მკითხველის პოზიციის განხილვით დავიწყოთ.**

ბატონი **თეიმურაზ მამაცაშვილი** რედაქციაში ტელეფონით დაგვიკავშირდა და საკმაოდ ხანგრძლივი საუბარიც გვქონდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ზომებია მისაღები საიმისოდ, რომ თბილისში ავტოტრანსპორტის მოძრაობას შვება მიეცეს. როგორც თავად განაცხადა, ბატონი თეიმურაზი ერთ-ერთი დიდი კომპანიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია, რომელსაც საკმაოდ სოლიდური ავტოპარკი აქვს და მისი მანქანები მარტო თბილისში კი არა, მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაადგილდებიან, ამდენად, არსებული სატრანსპორტო პრობლემები მისთვის კარგადაა ცნობილი. კომპანიის სახელწოდების გამხელა ბატონმა თეიმურაზმა არ ისურვა, თუმცა კი ამას რაიმე პრინციპული მნიშვნელობა არც აქვს, ვინაიდან მთავარი მაინც საქმეში ჩახედული კაცის მოსაზრებებია. საკუთარი წინადადებების ჩამოყალიბება ბატონ თეიმურაზ მამაცაშვილს მოკლედ, თეზისების სახით ვთხოვეთ. ორიოდე დღეში რედაქციაში მოკლე წერილობითი შეტყობინება მივიღეთ, რომელშიც, კერძოდ, ეწერა:

**„ბატონო ოთარ! გთავაზობთ ქ.თბილისის ავტოსაცობებისგან განტვირთვის ჩვენს ხედვას:**

**1. ელიავას ბაზრობის გატანა ქალაქიდან;**

**2.პუშკინის ქუჩის გახსნა;**

**3. რკინიგზის ქალაქიდან გატანა;**

**4. თბილისის ამჟამინდელი მერიის და საკრებულოს გატანა ქალაქიდან;**

**5. დეზერტირების გატანა ქალაქიდან;**

**6. დიდუბის ბაზრობის გატანა ქალაქიდან“.**

ბატონ მამაცაშვილის მცირედი ბარათი სრულად იმიტომ მოვიყვანეთ, რომ თითოეულ პუნქტზე გარკვეული პასუხის გაცემა ახლავე შეგვიძლია, ამიტომ მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ, იმის იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი პუბლიკაციით თბილისის მერიაშიც დაინტერესდებიან და პრობლემის საბოლოო გადაჭრაში ჩვენც პატარა წვლილს შევიტანთ.

**ელიავას ბაზრობის გატანა ქალაქიდან** აუცილებელი რომაა, ამის თაობაზე ლაპარაკი წლების მანძილზე წყლის ნაყვას ჰგავს. მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ყოველდღიური ყოფა უკვე არაერთი წელიწადია ჯოჯოხეთადაა ქცეული, ხალხს ზამთარ-ზაფხულში ვერც ფანჯარა გაუღია და ვერც აივნის კარი — ბინებში ათასნაირი საშენი მასალის სუნი და მტვერი შედის, ვერც თავად მიდი-მოდიან თავის საცხოვრებელში, ვერც საკუთარ მანქანას ვერ აჩერებენ. იქაურები ბაზრობის იქიდან მოცილებას წლების მანძილზე ითხოვენ, მაგრამ ამაოდ. კიდევ ერთი და, როგორც ჩანს, მთავარი სატკივარია უკლებლივ ყველა მისასვლელი გზის ათასნაირი ავტოტრანსპორტით უკიდურესი გადატვირთვა, ამის გამო ჰაერში აუარება გამონაბოლქვი გაზის ტრიალი და გაუთავებელი ხმაურია. ვფიქრობთ, რომ ელიავას ბაზრობის ქალაქის ცენტრიდან მოშორება დედაქალაქის მერიის ერთ-ერთი პირველი რიგის საზრუნავი უნდა იყოს.

რაც შეეხება **„პუშკინის ქუჩის გახსნას“**, ამაში ბატონი მამაცაშვილი, როგორც ჩანს, მასზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენას გულისხმობს. თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, ეს გეგმა თბილისის მერიას უკვე აქვს, 2015 წელს იქ ესტაკადა აშენდება და ორმხრივი სამანქანო მოძრაობა აღდგება, რაც საგრძნობლად განტვირთავს ამ უბანს.

**„რკინიგზის ქალაქიდან გატანასთან“** დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში, სს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ კონსტანტინე გუნცაძემ ადრე განაცხადა, რომ თბილისის შემოვლითი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროექტი „ქართული ოცნების“ მთავრობამ კი „არ გადააგდო“, როგორც ამას პოლიტიკური ოპონენტები აცხადებენ, არამედ მისი ფაქტობრივი ხელახლა შექმნა მიმდინარეობს ავსტრიული ფირმის სპეციალისტების მიერ, რა პროცესში ქართველი ინჟინრებიც არიან ჩართულნი. ამ პროექტის განხორციელება თბილისს, ცხადია, დიდ შეღავათს მისცემს, რადგან უზარმაზარი ტერიტორია გამოთავისუფლდება ქალაქის ცენტრსა და მის მიმდებარედ მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, რაც ქალაქთმშენებლებს ფართო ასპარეზს მისცემს. რედაქციის უახლოეს გეგმაშია ამ თემასთან დაკავშირებით ვრცელი მასალის მომზადება.

ცოტა სხვა პრობლემაა **„თბილისის ამჟამინდელი მერიისა და საკრებულოს გატანა ქალაქიდან“**. საკრებულო დღესდღეობით, სოლოლაკში, ლერმონტოვის ქუჩაზე, ენერგეტიკის სამინისტროს ყოფილ შენობაში ფუნქციონირებს და, არსებული ინფორმაციით, ახლო მომავალში, ქალაქის მერიის ყოფილ შენობაში დაიდებს ბინას. მერიისა და საკრებულოს გატანას ქალაქიდან ბატონი მამაცაშვილი იმიტომ სთავაზობს საზოგადოებას, რომ მათ მიმდებარედ ავტომანქანების არც ერთი მეტ-ნაკლებად ტევადი ავტოსადგომი არ არის და ეს იქაურობას ისედაც ვიწრო ქუჩებს უფრო მეტად ხერგავს, რაც საცობების მიზეზი ხდება. საკრებულოს თაობაზე უკვე მოგახსენეთ, რაც შეეხება მერიას, ამის თაობაზე მის ხელმძღვანელობაზე, სატრანსპორტო და არქიტექტურის სამსახურებზე უკეთ, ალბათ, ვერავინ იზრუნებს, ამიტომაც ამ საქმეზე ყველაზე უკეთ ისევ მათ მიუწვდებათ ხელი, თუმცა კი, დედაქალაქის მთავრობის მის ფარგლებს გარეთ გატანა, პირადად ჩვენ, მაინცდამაინც მისაღებ აზრად არ მიგვაჩნია.

თითქმის იმავეს თქმა შეიძლება **დეზერტირების ბაზრის ქალაქგარეთ გატანასთან** დაკავშირებით — ვფიქრობთ, არც ეს უნდა იყოს მთლად მართებული, რადგან სურსათი აქ სუპერმარკეტებზე გაცილებით იაფი ღირს, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სულ სხვა საქმეა მის მიმდებარედ გარევაჭრობის ერთხელ და სამუდამოდ წესიერების ჩარჩოებში მოქცევა და არა ავტოსადგომების ადგილზე მავანთა ქისების გასავსებად ახალ-ახალი ბუდრუგანა, სრულიად უგვანო სავაჭრო ობიექტების გახსნა, არამედ ავტოსადგომების — მაღლივების ან მიწისქვეშების აგება. თუმცა, ესეც ქალაქთმშენებელთა პრობლემაა და თბილისის განვითარების გენერალურ გეგმაში, რომელსაც ათწლეულების მანძილზე ვერა და ვერ ვეღირსეთ, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

ბოლო პუნქტი კი ბატონ მამაცაშვილის „თეზისებში“, **დიდუბის ბაზრობის ქალაქიდან გატანაა,** რაც, ვფიქრობთ, არანაირ ეჭვს არ იწვევს. საქალაქთაშორისო ავტობუსებისა და მიკროავტობუსების სადგურებები ათასნაირი პაჭაპუჭა ყავასა და ჩაიხანებისგან, სახინკლე-საშაურმე-სახაჭაპურეებისგან, ნახმარი მობილური ტელეფონებით, აუდიოკასეტებით, სიდი-დისკებით, ნაირ-ნაირი სუვენირებითა და ათასი სხვა წვრილმანით მოვაჭრისგან აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს, რადგან ასეთი სატრანსპორტო საცობით მუდამ გაჯერებული „დომხალი“ თბილისს ნამდვილად არაფერში არ სჭირდება.

ასეთი გახლავთ, მოკლედ, ბატონ თეიმურაზ მამაცაშვილის მოსაზრებები თბილისის ქუჩების სამანქანო საცობებისგან განტვირთვის თაობაზე, ასეთია არსებული რეალობა და ზოგიერთი პერსპექტივა, ასეთია პრობლემის ზოგიერთი ასპექტის ჩვენებური ხედვა.

თემის განხილვას კი მომავალშიც განვაგრძობთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა

# ჩვენ ვიწამლებით, ტექდათვალიერება კი დიდი ხნით გადაიდო!

## ბრავო! - ავტომფლობელებს 2017 წლამდე არ შეაწუხებენ

**ეკონომიკის სამინისტროში უარყოფენ ბოლო დროს გავრცელებულ ინფორმაციას თითქოსდა 2015 წლის 1 მარტიდან ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერება აღდგება. მათი ინფორმაციით, აღნიშნული ინიციატივის განხორციელება ეკონომიკური საბჭოს რეკომენდაციის შედეგად მთავრობამ 2017 წლისთვის გადადო.**

როგორც ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი საკმაოდ შეჭირვებულ მდგომარეობაშია და, აქედან გამომდინარე, იმ სტანდარტებზე ერთბაშად გადასვლა, რომელიც ევროპაშია, ალბათ, მოსახლეობისთვის მტკივნეული იქნება. თუმცა, ტექდათვალიერების ორი წლით გადადება არ გულისხმობს იმას, რომ მოსამზადებელი სამუშაოები ახლავე არ დაიწყება. მინისტრის შეფასებით, სახელმწიფომ და შესაბამისმა უწყებებმა უნდა შეიმუშაონ სტრატეგია, რათა ქვეყანა 2017 წელს მომზადებული შეხვდეს.

**ექსპერტების აზრით, სავალდებულო ტექდათვალიერების შემოღების შედეგად მინიმუმ 300 000 ადამიანი ავტომობილის გარეშე დარჩებოდა. ამიტომ დროებითი გადავადება ვითარებას ცოტათი განმუხტავს.**

კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივის“ წარმომადგენელი ვასილ ურუშაძე ამბობს, რომ ტექნიკური დათვალიერების ნორმები 2 კრიტერიუმად იყოფა: **ეკოლოგიური და საგზაო უსაფრთხოება.**

**„ჯერ ეკოლოგიურ უსაფრთხოებას შევეხოთ: ავტომობილის გამონაბოლქვში ტოქსიკური აირები გარკვეულ ზღვარს არ უნდა აღემატებოდეს. ამის გამო ავტომობილს აქვს სპეციალური კატალიზატორი, რომელიც ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე აირების გამოყოფას ხელს უშლის და აჩერებს, მაგრამ საქართველოში ძალიან დაბალი ხარისხის საწვავია, ჩვენ ვიყენებთ აზერბაიჯანულ საწვავს, რომელიც ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს, შესაბამისად, კატალიზატორებიც ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან...**

**ხშირად მძღოლები კატალიზატორს იღებდნენ იმიტომაც, რომ ის ძვირად ღირებული ლითონისგან იყო დამზადებული და ჩამბარებელ პუნქტებში აბარებდნენ. ამასთანავე, არსებობდა მითი, რომ კატალიზატორის ამოღებით საწვავის ეკონომიას შეძლებდნენ — სწორედ ამ სამმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ ჩვენს ქვეყანაში ავტომფლობელების 80 პროცენტს მანქანიდან კატალიზატორი ამოღებული აქვს, ხოლო, თუ ავტომობილს კატალიზატორი არა აქვს, ის ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმებს.**



**არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტერიუმია გამართული სამუხრუჭე სისტემა, განათების სისტემა და მაშუქები. ეს ყველაფერი მწყობრში უნდა იყოს, ისევე, როგორც საქარე მინა და ცეცხლმაქრი, ავტომობილში აუცილებლად უნდა იყოს საავტომობილო აფთიაქი და სხვა ბევრი წვრილმანი რამ... ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მოთხოვნებია, მაგალითად, გერმანიაში 600-მდე კრიტერიუმი არსებობს, რომელიც ავტომანქანამ ტექდათვალიერების დროს უნდა გაიაროს.**

**საქართველოში ეს ნორმები რომ გადმოვიღოთ, ჩვენი ავტომობილების 80 პროცენტზე მეტი ტექდათვალიერებას ვერ გაივლის. ამიტომ, ჩვენ ჯერ მინიმალური მოთხოვნებით უნდა დავიწყოთ, როგორიც თუნდაც საავტომობილო აფთიაქი, ცეცხლმაქრი ან სამუხრუჭე სისტემაა და მერე გადავიდეთ უფრო რთულ ეტაპზე. აუცილებელია საზოგადოების ინფორმირებულობა, რომ ის არ მოხდეს, რაც ღვედების შემოღების შემდეგ მოხდა: ეს ცვლილება ერთი ხელის მოსმით შემოიღეს, რამაც საზოგადოებაში ძალიან დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია“,** — აცხადებს ურუშაძე.

**ავტომობილებზე სავალდებულო ტექდათვალიერება 2004 წელს გაუქმდა. მაშინ „საგზაო უსაფრთხოების შესახებ“ კანონში გაკეთდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ტექდათვალიერება 2013 წლის 1 იანვრიდან უნდა განახლებულიყო, თუმცა, პროცესი ჯერ 2015 წლამდე გადაიდო, ახლა კი — 2017-მდე.**

**ბექა დანელია**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ღარიბაშვილი: ევროპული გზა ქართველი ხალხის არჩევანია

## თბილისს ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის იმედი აქვს

**საქართველოს საგარეოპოლიტიკური არჩევანი ევროპული გზაა, მაგრამ ამავე დროს ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული.** ამის შესახებ განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ესტონეთის პრემიერ-მინისტრ ტაავი რიივასთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე. ესტონეთის პრემიერ-მინისტრი თბილისში ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა.

**„ჩვენი ევროპული გზა არ არის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული. ეს ქართველი ხალხის არჩევანია. ეს საქართველოს სახელმწიფოს სუვერენული არჩევანია. რა მიმართულებით წავიდეს — ამას წყვეტს მხოლოდ საქართველო და მისი ხალხი“,** — განაცხადა საქართველოს პრემიერმა 12 იანვარს.

ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ რიივასთან შეხვედრაზე მათ განიხილეს რუსეთთან ურთიერთობების საკითხიც.



მისი სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ახალმა ხელმძღვანელობამ გადადგა ნაბიჯები მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, პოლიტიკური თვალსაზრისით ამ ურთიერთობაში ჯერჯერობით პროგრესი არ შეინიშნება. ამავე დროს, აღნიშნა საქართველოს პრემიერმა, მას შემდეგ, რაც რუსეთმა გახსნა ახალი ბაზარი ქართული პროდუქციისთვის, გააუქმა 2006 წელს შემოღებული ემბარგო, ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი გაუმჯობესდა.

**„რუსეთი კვლავ აგრძელებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციას. მიუხედავად ჩვენი კონსტრუქციული ნაბიჯებისა, რუსეთმა არ გვიპასუხა იმავე სულისკვეთებით, ამის თვალსაჩინო მაგალითია შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერა აფხაზეთთან. რუსეთი ასეთსავე შეთანხმებას ამზადებს ცხინვალის რეგიონთანაც. რასაკვირველია, ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეშფოთებას გამოვთქვამთ“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და აფხაზეთის ხელმძღვანელმა რაულ ხაჯიმბამ 2014 წლის 24 ნოემბერს სოჭში მოაწერეს ახალ შეთანხმებას მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის. შეთანხმებაში გათვალისწინებულია საერთო თავდაცვითი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, აგრეთვე რუსი და აფხაზი ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნა გაერთიანებული სარდლობით.

შარშან დეკემბრის ბოლოს ასევე გამოქვეყნდა ხელშეკრულების წინასწარი ტექსტი სამხრეთი ოსეთის რუსეთთან თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთი ოსეთის მთელი რიგი ძირითადი სტრუქტურების უშუალო გაერთიანებას რუსეთის სათანადო ორგანიზაციებთან. თბილისმა მოსკოვის მოქმედებებს საქართველოს ტერიტორიის „ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯი უწოდა“. აგრეთვე გამოწვევაც, რომელსაც რუსეთის ფედერაცია უპირისპირებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებას და ევროპის უშიშროებასაც მთლიანად. შეერთებულმა შტატებმა, ნატომ და ევროკავშირმა განაცხადეს, რომ არ აღიარებენ იმ დოკუმენტების კანონიერებას, რომლებიც რუსეთმა საქართველოს რეგიონებთან გააფორმა, და კვლავ მოუწოდებს მოსკოვს შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებანი.

### საიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია

**ტაავი რიივასმა, თავის მხრივ, დაადასტურა ესტონეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, აგრეთვე მისი ევროატლანტიკური მისწრაფებები.**

**„არავის ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის არ აქვს უფლება ჩაერიოს ჩვენს მომავალში. მე აქ ვარ იმისთვის, რომ მხარი დავუჭირო საქართველოს მთავრობას ევროკავშირისა და ნატოსკენ მიმავალ გზაზე“,** — განაცხადა 12 იანვარს ესტონეთის პრემიერმა.

რიივასი ასევე დაპირდა საქართველოს „ძლიერ მხარდაჭერას“ აღმოსავლური პარტნიორობის რიგის სამიტზე, რომელიც 21-22 მაისს გაიმართება. თბილისს იმედი აქვს, რომ ევროკავშირი რიგაში მიიღებს გადაწყვეტილებას სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ საქართველოს მოქალაქეებისთვის.

**„საქართველო, ფაქტობრივად, არის ლიდერი კრიტერიუმების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. უვიზო მიმოსვლის დანერგვა მართლაც შესაძლებელია და მერწმუნეთ, რომ სამიტზე თქვენ გექნებათ მხარდაჭერა ესტონეთის მხრიდან“,** — განაცხადა ესტონეთის პრემიერმა.

ამავე დროს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ ევროკავშირის ქვეყნებში „დაკავშირებული იქნება პოლიტიკურ მხარდაჭერასთან, რომლებსაც აღმოუჩენენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამ იდეას“.

**„დღეს სიტუაცია მიგრაციასთან დაკავშირებით მარტივი როდია. ბევრი ქვეყანა მოითხოვს შენგენის რეგულაციის გადასინჯვასაც კი. ამ ფონზე ჩვენი ამოცანაა, მაქსიმალურად დროულად და ეფექტიანად შევასრულოთ ჩვენი ეგრეთ წოდებული „საშინაო დავალება“ — ესე იგი, დავამთავროთ ჩვენი ვალდებულებანი ყველა მიმართულებით ვიზების ლიბერალიზაციის მოქმედებათა გეგმის ფარგლებში“,** — განუცხადა ჟურნალისტებს ბერუჩაშვილმა.

### „კონკრეტული ნიშნები არ არის“

**კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის თავმჯდომარე გია ნოდია მიიჩნევს, რომ, მიუხედავად ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში გამოთქმული განცხადებებისა სამიგრაციო კონტროლის გამკაცრების შესახებ საფრანგეთში ამასწინანდელი ტრაგიკული მოვლენების გამო, ამ ეტაპზე ჯერჯერობით არ არის კონკრეტული ნიშნები იმისა, რომ ეს გავლენას მოახდენს ევროკავშირის ქვეყნების გადაწყვეტილებაზე საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მინიჭების შესახებ.**

შეგახსენებთ, რომ 7 იანვარს ტერორისტები შეიჭრნენ საფრანგეთის სატირული ჟურნალის შტაბბინაში და ამ გამოცემის 12 თანამშრომელი დახოცეს. მომდევნო დღეებში ტერორის მსხვერპლი პარიზში გახდა კიდევ ოთხი კაცი, მათ შორის პოლიციელი ქალიც.

**„შესაძლებელია, ამ მოვლენებმა ზოგიერთი ევროპელისთვის შექმნა დამატებითი ფსიქოლოგიური ბარიერი, მაგრამ ლოგიკური კავშირი არ შეიძლება რომ იყოს. ეჭვმიტანილი დამნაშავეები საფრანგეთის მოქალაქეები იყვნენ. ამავე დროს არ არის გამორიცხული, რომ გამოჩნდებიან პოპულისტებიც, რომლებიც შეეცდებიან გამოიყენონ ეს ფაქტი თავიანთი მიზნებისთვის“,** — უთხრა ნოდიამ ინტერვიუში „ამერიკის ხმის“ რუსულ სამსახურს.

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის და ხელშეკრულებას თავისუფალი და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შესახებ. მართალია, ეს შეთანხმება არ გულისხმობს საქართველოს შესვლას ევროკავშირში, მიუხედავად ამისა, მისი სრული კომპეტენციის შემთხვევაში, ევროკომისრების განცხადებების თანახმად, საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების „მსგავსი“, რაც ქმნის განსაკუთრებულ კონტექსტს დისკუსიის გაგრძელებისთვის საქართველოს მომავლის შესახებ ევროკავშირთან. საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმის განხილვის დაწყებაც ასევე არის ხელმოწერილი შეთანხმების შედეგი.

Voice of America

◉ თვალსაზრისი

# ნუთუ ეს არის გამოხატვის თავისუფლება, დემოკრატია?

**პატივცემულო მკითხველო,** თავს ნებას ვაძლევ, მოგახსენოთ ჩემი აზრი საფრანგეთში მომხდარი საზარელი ტერორისტული აქტის შესახებ.

ტერორიზმს არავითარი გამართლება არა აქვს, ის დასაგმობია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს!

მაგრამ, რამდენად გამართლებულია რელიგიურ თემაზე უხამსი კარიკატურების შექმნა? ნუთუ ეს არის გამოხატვის თავისუფლება, დემოკრატია?

ასეთი მოქმედება, ძირეულად ეწინააღმდეგება თავისუფლების შინაარსს. ჭეშმარიტი შემოქმედი უნდა იცავდეს ზღვარს. თავისუფლება პირველ რიგში არის პასუხისმგებლობა თავისა და სხვების მიმართ. სწორედ უპასუხისმგებლობა ჰქონდათ მხედველობაში პლატონსა და არისტოტელეს, როდესაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, დემოკრატიას ტენდენცია აქვს ტირანიისაკენო“.

ვიმეორებ, ტერორიზმი დასაგმობია, მას არა აქვს კავშირი ჭეშმარიტ რელიგიურ ალმსარებლობასთან, ტერორიზმს ძირითადად განსაზღვრავენ ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან კაცობრიობას!!!

**ლონდა მდივანი.**

**P. S. გაუგებარია საფრანგეთის მთავრობის მიერ გაუთვალისწინებლობა მათთვის ცნობილი ინფორმაციისა მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ.**

**ლ. მ.**

## დედამიწის ზურგზე



**ინდოეთის ჩრდილოეთში მდინარის ზედაპირზე ასზე მეტი ცხედარი ამოტივტივდა**

შოკისმომგვრელი სურათი წარმოუდგა თვალწინ უტარ-პრადეშის შტატის უნაოს ოლქის მცხოვრებლებს — უდიდესი მდინარე ინდის სანაპიროზე, რომელიც წყლით ამარაგებს არა მხოლოდ ნახევარ მილიარდ ადამიანს, არამედ მას იყენებენ, როგორც დაკრძალვის ადგილსაც, ათობით გახრწნილი სხეული გამოირიყა. ხელისუფლება ადგენს ინციდენტის მიზეზებს.

**უკრაინის ხელისუფლება აპირებს გადასცეს ბიუჯეტს იანუკოვიჩის მიერ მილიარდ დოლარზე მეტი „ხალხისთვის მოპარული“ აქტივები**



შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის არსენ ავაკოვის სიტყვებით, გენერალურმა პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ უმაღლეს რადაში შეიტანეს „მცირე შესწორებები, რომლებიც თავიდან გვაცილებს ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს იანუკოვიჩსა და კომპანიაზე სასამართლოს მოწყობის შესახებ დაუსწრებელ რეჟიმში“. ეს გაკეთდა „იმ მიზნით, რომ არ დალოდებოდნენ ლტოლვილების დაჭერას და უკრაინის შემოსავალში შესულიყო „ოჯახის“ დაპატიმრებული აქტივები .

**CHARTIE HEBDO-მ დაახლოებით ერთი მილიონი შემოწირული ევრო შეაგროვა. ახალი ნომერი გამოვიდა ყდაზე წინასწარმეტყველ მუჰამედის პორტრეტით**



მოწოდებაზე დაეხმარონ გამოცემას, რაც ტერორისტული შეტევის სამიზნე აღმოჩნდა გასულ კვირას, სამი დღე-ღამის განმავლობაში გამოეხმაურა დაახლოებით 14 ათასი კაცი. შემოწირულობათა საერთო თანხამ ერთ მილიონ ევროს გადააჭარბა. ინტერნეტ — გიგანტ Google-მაც მიიღო მონაწილეობა სახსრების შეკრებაში, შესწირა 250 ათასი ევრო.

**იაპონიამ მიიღო ისტორიაში უდიდესი თავდაცვის ბიუჯეტი და აპირებს დაუპირისპირდეს ჩინეთს**

ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი უკვე მესამე წელია, ზედიზედ რეკორდებს რეკორდებზე ამყარებს. მთავრობა ყიდულობს სამეთვალყურეო და სადესანტო ტექნიკას, მიუთითებს ჩინეთთან დაპირისპირებაზე კუნძულ სენკაკუს გამო. თავდაცვის მინისტრად რემილიტარიზაციის აშკარა მომხრის დანიშვნამ პრემიერ სინძო აბეს მოწონების რეიტინგის მკვეთრი ამაღლება გამოიწვია.



**თითქმის ნატურიდან**

# თაგვების ბიზნესი

**მამუკამ** ბევრი იფიქრა, როგორ წამოეწყო ბიზნესი და, როგორც იქნა, მოიფიქრა. ამის თაობაზე ოჯახში არაფერი უთქვამს, პირდაპირ ზოოპარკს მიადგა და მენეჯერთან აუდიენცია ითხოვა.

— რამ შეგაწუხათ? — იკითხა საქმეში თავჩარგულმა მელოტმა მამაკაცმა.

— თაგვების გაყიდვა გადავწყვიტე, — თქვა მორიდებით მოსულმა, — და ამიტომ გეახელით.

— გაყიდეთ მერე, ვინ დაგიშალათ? — ამოღერღა მენეჯერმა.

— ბაზარში გავიყვანდი, მაგრამ მინდა, ზოოპარკმა შეიძინოს.

— რატომ მაინც და მაინც ზოოპარკმა? — დაინტერესდა მელოტი.

— არ მინდა სამუდამოდ დავკარგო, აქ როცა მომესურვება, მოვალ და ვნახავ.

— რა მოგესურვება, თაგვები კაცო?

— ჰო, თაგვები, — ცრემლები მოადგა მამუკას.

— მასე თუ გიყვართ, რატომღა ყიდით?

— აბა ბიზნესი რით გავაკეთო? ბანკმა სესხი არ მომცა, სხვა კიდევ არაფერი მაბადია, მოგეხსენებათ, დღეს რაღაც მცირე ბიზნესი მაინც თუ არ გაქვს, ცოლ-შვილი შიმშილით გაგიწყდება.

— არა, თაგვებს ვერ ვიყიდით, — მოკლედ მოუჭრა მენეჯერმა.

— რატომ?

— მაგას რა კითხვა უნდა, ხალხი ზოოპარკში ვეფხვებისა და ნიანგების სანახავად აღარ შემოდის და თაგვებით ვინ დაინტერესდება?

— რას ამბობთ, ისეთი კულტურული და ელეგანტურები არიან, ბავშვებმა ერთხელ თუ მოკრეს თვალი, აღარ მოსცილდებიან.

— კარგით ერთი, თაგვი და ელეგანტური სად გაგონილა?

— აი, პირადად გაიცნობთ და დარწმუნდებით, — არ ეშვება მეთაგვე ბიზნესმენი, — თანაც როგორი თვალმახარები არიან: იასამნისფერი, ზამბახისფერი, ჟოლოსფერი, ნარინჯისფერი, თქვენ წარმოიდგინეთ, სალათისფერი თაგვებიც კი მყავს, თქვენ რომელიც მოგეწონებათ, იმას შეგირჩევთ.

— მდაა, საინტერესოა, — ჩაილაპარაკა მენეჯერმა.

— აბა რა გგონიათ, უცხოეთიდან ჩამოვიყვანე, ნამდვილი ევროპელი ელიტარული დემოკრატები არიან, თანაც იუმორის მოყვარული დემოკრატები.

— იუმორის მოყვარული? — შეიცხადა მელოტმა, — კი მაგრამ ამას როგორ გამოხატავენ?

— კბილების კაწუნით და კუდის ქიცინით, თუ სამხიარულოს მოკრეს ყური,



მაშინვე ხტუნვა-კუნტრუშს იწყებენ, თუ რამე არ მოეწონათ, ეგრევე წრუწუნწრუწუნით სოროში მიძვრებიან.

— მაინც, რა არ მოსწონთ?

— აი, პუტინის კრიტიკაზე, მაგალითად, ძალიან ნერვიულობენ, მიშას ხსენებაზე კი სიცილით იგუდებიან.

— არა, პოლიტიზებული თაგვები ზოოპარკში არ გამოდგებიან.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა, ზოოპარკში უამრავი პოლიტიკანი შემოდის, იმათგან ზოგს პუტინი მოსწონს, ზოგს მაკკეინი, ზოგს ჰაკიმ ფაშა და ზოგს კიდევ ბრიტანეთის დედოფალი, მე თაგვების ხუხრს სად ვუყურო, ჩემო ბატონო.

— არა, ოპოზიციაში კი არავის ჩაუდგებიან, როგორც საპარლამენტო უმრავლესობა მოისურვებს, ისე მოიქცევიან.

— ვთქვათ, დაგთანხმდით, — კომპრომისზე წავიდა მენეჯერი, — მაგრამ როგორც ინდმეწარმე, რეგისტრაციაში უნდა იყოთ გატარებული.

— ეგ რაღა საჭიროა?

— აბა, საგადასახადო ინსპექტორი რომ მეტყვის, თაგვები ვისგან შეიძინეო, რა საბუთი წარვუდგინო?

— აკი საქართველოში ბიზნესის კეთება გამარტივდაო?

— ეგ სიტყვით, ჩემო ბატონო, მაგრამ საქმით ასეა.

— როგორ კაცო, თავის დროზე ცხონებულმა ბენდუქიძემ მთელი ჩვენი მიწები გაყიდა და მე ჩემი თაგვები ვერ უნდა გავყიდო?

— ის სახელმწიფო მიწებს ყიდდა, ჩემო ძმაო, თქვენ კი საკუთარ თაგვებს. ბიზნესმენობას თუ აპირებთ, ამ ანბანურ ჭეშმარიტებაში უნდა ერკვეოდეთ. ალბათ, იმის ცოდნაც მოგიწევთ, რომ თაგვები განბაჟებას საჭიროებენ.

— ბენდუქიძეს რა, მიწები განბაჟებული ჰქონდა?

— აკი მიგანიშნეთ, კანონებში ვერ ერკვევით, მიწები ადგილობრივი წარმოებისაა და განბაჟება არ სჭირდება, თქვენ კი თაგვები საზღვარგარეთიდან გყავთ ჩამოყვანილი.

— საზღვარგარეთიდან მაგათი მშობლები მყავდა ჩამოყვანილი, თორემ თავად ეგენი აბორიგენი ქართველები არიან.

— არ ვიცი, შენი თაგვების გულისთვის კანონს ვერ შევეკამათები (ხომ ხედავთ, პარლამენტი პრეზიდენტის ვეტოსაც ფეხებზე იკიდებს და მე რაღას მიზამს!). თაგვები განბაჟებული უნდა იყონ, მორჩა და გათავდა.

— ზოოპარკში ყველა ცხოველი და ფრინველი განბაჟებული გყავთ?

— რა თქმა უნდა, ცხოველებიც და ფრინველებიც. ამას წინათ ერთი ჩხართვი აღმოგვიჩინეს განუბაჟებელი და დირექტორი ეგრევე მოხსნეს.

— იქნება ახალმა დირექტორმა მომცეს თანხმობა?

— არა, ბატონო, არა, კაცი ახალდანიშნულია და თაგვის გულისთვის თავს გაიფუჭებს?

— აბა რა ვქნა?

— ხომ გითხარით, განაბაჟეთ თაგვები და მერე ვნახოთ...

მამუკა დაძმარებული გამოვიდა ზოოპარკიდან, მიდიოდა შინ და ფიქრობდა: ეს სადაური დემოკრატიაა, ქვეყანა დათვების, მგლების, ტურების, მელიების ბიზნესმა წალეკა, თაგვების ბიზნესი კი არავის უნდა. არა, ძმაო, ასე თუ გაგრძელდა, მცირე ბიზნესი სულს ვერასოდეს მოითქვამს.

**ოტია ჩართოლანი**

**ჩინური კალეიდოსკოპი**



## ხიდი მდინარე იანძიზე

**მსოფლიოში ყველაზე გრძელი საავტომობილო და სარკინიგზო ხიდი ჩინეთში, მდინარე იანძიზეა გადებული.**

4008 მეტრის სიგრძის, ფოლადის კონსტრუქციებით აგებული ხიდი „ჰუანგანი“, რომელიც მწყობრში შარშან წლის მიწურულს ჩადგა, პროვინცია ჰუბეის ქალაქებს — უჰანსა და ჰუანგანს აერთებს.

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარის იანძის ნაპირებზე ამ ორ ქალაქს შორის გზას ახლა ნახევარი საათიც აღარ სჭირდება, მისი მშენებლობა კი ორი მილიარდი იუანი დაჯდა.

## ფაიფურის კეთილშობილება და სისადავე

**ნაირნაირი ულამაზესი ჭურჭლის, დახვეწილი ლარნაკებისა და ლანგრების ერთ-ერთი უკეთილშობილესი მასალა, რაღა თქმა უნდა, ფაიფურია. ფაიფურის სამშობლო კი, როგორც ცნობილია, ჩინეთია, მისი წარმოშობის ადგილი სახელგანთქმული კაოლინის მთებია, რომელთა სახელი განსაკუთრებული შემადგენლობის თიხას დაერქვა, რომლისგან ათწლეულების გამოწვის შემდეგ უნატიფეს ფაიფურს ამზადებენ.**

კითხვაზე, თუ რომელი სახეობა წარმოაჩენს ყველაზე უკეთ ჩინურ ფაიფურს, ნებისმიერი ჩინელი თეთრ-ლურჯ „ცინჰუაცის“ დაასახელებს. მის შესაღებად კობალტის შემცველ საღებავს ხმარობენ, რომელიც გამოწვის შემდეგ ხასხასა ლურჯით დაწყებული უბაცესი ცისფრამდე მოყოლებული ელფერთა უმდიდრეს გამას იძლევა და ძალიან ძვირად ფასობს.

ფაიფურის „ცინჰუაცის“ მასობრივი წარმოება ჯერ კიდევ ტანის დინასტიის (618-907 წ.წ.) მმართველობის დროს დაიწყო. ზოგადად, ჰანის კულტურას ცისქვეშეთში მუდამ წამყვანი პოზიციები ეკავა, ამდენად, ჩინეთის დამპყრობი მონღოლები ამის აზრზე უმალვე მოვიდნენ. ამიტომ თავიანთი მმართველობის დროს მათ არა მარტო ზიანი არ მიაყენეს, არამედ მისი მაქსიმალურად შენარჩუნება და გადაღება სცადეს. იმის გამო, რომ ლურჯი მონღოლ დიდებულთა უსაყვარლეს ფერს წარმოადგენდა, თეთრ-ლურჯი „ცინჰუაცის“ ფაიფურის წარმოების გაფურჩქვნის ხანა დადგა. ჩინური ფაიფურის ექსპორტის 80 პროცენტი სწორედ თეთრ-ლურჯ ფაიფურზე მოდის.



ჩინური ფაიფურის, ასევე მთლიანად კერამიკის სამშობლოდ და „დედაქალაქად“ ძინდეჯენია (პროვინცია ძიანსი) აღიარებული.

ცისქვეშეთის მცხოვრებნი ყოველთვის მიიჩნევდნენ, რომ ჭეშმარიტი სილამაზე კეთილშობილური სისადავით, უბრალოებითა და ბუნებრივობით გამოირჩევა და მუდამ ნებისმიერ დეკორაციულობაზე მაღლა დგას. თეთრ-ლურჯი ფაიფური „ცინჰუაცი“ სწორედ ასეთი სიმშვიდისა და სისუფთავის სილამაზეს ასახავს, რომლის მიღმა უძლეველი ძალა დგას.

## ქაღალდის... ფანქრები

**მრავალი კომპანიის ერთ-ერთი თავსატეხია გამოყენებული ქაღალდის დიდი მოცულობის უტილიზაცია. ზოგი მათგანი ასეთ ქაღალდს სპეციალური საჭრელი მანქანებით აქუცმაცებს, ზოგიც უბრალოდ ნაგავში ყრის.**

ამ პრობლემის გადასაჭრელად ჩინელმა ინჟინრებმა ახალი ხელსაწყო გამოიგონეს — საოფისე ქაღალდის ნარჩენების თავიდან მოსაცილებლად შექმნილ ამ უნი-



კალურ მოწყობილობას ფანქრის გულებისთვის საგანგებო ხვრელები აქვს დატენებული. მას შემდეგ, რაც მანქანაში გრიფელზე შემოსახვევ ქაღალდს ჩატვირთავენ, რამდენიმე წამში მანქანა... მზა ფანქარს აგდებს. ფაქტობრივად, გამოდის, რომ სრულიად ზედმეტი ქაღალდი თვალის დახამხამებაში სასარგებლო საკანცელარიო ნივთად, ამ შემთხვევაში, ფანქრად გადაიქცევა.

## ნემსის ყუნწში „გაძრომა“ ახლა უფრო ადვილია

**ძნელია ისეთი კაცის წარმოდგენა, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ნემსის ყუნწში ძაფის გაყრამ არ მოუწია და ცოტა მაინც არ უწვალია.**



ამ საკითხზე ჩინელი ინჟინრები დაფიქრდნენ და საფეიქრო ნემსი „ფრიდლი“ გამოიგონეს. დრეკადი მასალის — ნეილონის ძაფის გამოყენებით, დიზაინერებმა ახალი, უფრო დიდი ნემსის ყური შექმნეს. ზომის გადიდების წყალობით, ნემსში ძაფის გაყრა პრობლემას აღარ წარმოადგენს. ამ სიკეთესთან ერთად „ფრიდლი“ ფოსფორის საღებავითაა შეფერილი, რის წყალობით ნემსი სიბნელეშიც კარგად ჩანს.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი № 1**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ინერტული მასალის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორია, „მეტეხი II"-ის ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 152 700 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 20 475 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 047,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4 295 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 15 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 2**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განახორციელოს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელის მიერ უნდა გაიცეს თანხმობა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოქალაქეებს არ შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩანგილარის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ქსანზე „ქსნის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - A+B, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 59 400 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩანგილარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 8 479 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 847,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 896 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 15 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 3**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ინერტული მასალის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით;<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით; |

| | | |
|---|---|---|
| | | გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით;<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. სავანეთის მიმდებარე ტერიტორია, „მაშავერა"-ს ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1+C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ოთხივე უბანზე) - 74 400 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. სავანეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 976 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 997.6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 | 2 195 ლარი |
| | ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 15 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 4**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპვება უნდა განხორციელდეს დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული წესები და ნორმები.<br>გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>დ) ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში აღიკვეთოს ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. აზავრეთის ხევში.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. აზავრეთის მიმდებარე ტერიტორია, „აზავრეთის" ანდეზიტო-ბაზალტის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 6 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. აზავრეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 15 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| | თარიღი | |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 5**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით;<br>ბ) საბადოს დამუშავება უნდა მოხდეს ღია კარიერული წესით, მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისკენ, საფეხურებრივად, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისათვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით;<br>გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ქვეყანაში მოქმედი წესებისა და ნორმების დაცვით;<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა |

| | | |
|---|---|---|
| | | მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაჯითის მიმდებარე ტერიტორია, „ბაჯითი“-ს კვარციანი ქვიშია საბადო (კატეგორია - B, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 295 200 ტ.) |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაჯითის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 131 653 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 13 165,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 26 531 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 15 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 16 თებერვალს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 6**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით;<br>გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დროს გამოირიცხოს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება;<br>დ) ობიექტის დამუშავების დროს უნდა გამოირიცხოს ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. ბუგდაშენის კალაპოტში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. |
**პასუხი:** მოხელის საკლასო ჩინი აღნიშნავს მისი პროფესიული დონისა და მონაცემების შესაბამისობას განსაზღვრული თანამდებობისთვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. მოხელეებს საჯარო სამსახურში დაკავებული თანამდებობის შესაბამისად შეიძლება მიენიჭოთ შემდეგი საკლასო ჩინი:

- **მთავარ საჯარო თანამდებობაზე – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი, სახელმწიფო მრჩეველი.**
- **წამყვან საჯარო თანამდებობაზე – პირველი, მეორე, მესამე კლასის მრჩეველი.**
- **უფროს საჯარო თანამდებობაზე – საჯარო სამსახურის პირველი, მეორე, მესამე კლასის მრჩეველი.**
- **უმცროს საჯარო თანამდებობაზე – საჯარო სამსახურის პირველი, მეორე, მესამე კლასის რეფერენტი.**

**საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო სამსახურში წესდება დიპლომატიური რანგები და სხვა საკლასო ჩინები. საჯარო სამსახურში საკლასო ჩინების შესაბამისად შეიძლება დაწესდეს განმასხვავებელი ფორმის ტანსაცმელი.**

საჯარო მოსამსახურემ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ქცევის ზოგადი წესების შესაბამისად. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ის მოთხოვნები, რომლებიც მას და მის თანამდებობას შეეხება. საჯარო მოსამსახურე თავის სამსახურებრივ მოვალეობას უნდა ასრულებდეს მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად.

საჯარო მოსამსახურემ უნდა იმოქმედოს კოლეგიალობის პრინციპით, სამსახურებრივი ვალდებულების გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობისას უნდა დაიცვას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ქცევის ზოგადი წესები, განსაკუთრებით იმ მოქალაქესთან ურთიერთობისას, რომელიც სარგებლობს მისი მომსახურებით. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჯარო მოსამსახურემ უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი. მან ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი სახსრებით, რათა არ გაიფლანგოს ისინი.

თუ საჯარო მოსამსახურე დააპატიმრეს ან დააკავეს, ან მას აქვს ინფორმაცია, რომ იმყოფება ზედამხედველობის ქვეშ, ან მის მიმართ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, მან აღნიშნულის თაობაზე უნდა აცნობოს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს.

საჯარო მოსამსახურემ თავიდან უნდა აიცილოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს პირადად მის, მისი დაწესებულების ან საჯარო სამსახურის რეპუტაციას.

საჯარო მოსამსახურე ვალდებულია სამსახურებრივი უფლებამოსილება და სამსახურებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობები, სიმბოლოები და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები გამოიყენოს კეთილსინდისიერად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის და არა რაიმე უპირატესობის მოსაპოვებლად.

საჯარო მოსამსახურემ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს გამჭვირვალობისა და კანონიერების პრინციპით. დაუშვებელია საქართველოს კანონმდებლობის ან სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო განკარგულების ან/და დავალების გაცემა (12.06.2009. №1183).

**კითხვა: თუ შეიძლება, გვაცნობეთ, მოქმედი კანონის თანახმად, როგორი წესით ხდება სახელმწიფო მოხელისთვის საკლასო ჩინის მინიჭება? ვინ ანიჭებს მოხელეს ჩინს და ახდენს თუ არა ჩინი გავლენას მის ანაზღაურებაზე?**

**პასუხი:** საკლასო ჩინის მინიჭება ან ჩამორთმევა ხდება მოხელის მიერ ატესტაციის გავლის შედეგების მიხედვით. საკლასო ჩინს ანიჭებს:

- **სახელმწიფო მრჩევლებს – საქართველოს პრემიერ-მინისტრი (ამოქმედდა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან);**
- **პირველი, მეორე, მესამე კლასის მრჩევლებს, საჯარო სამსახურის მრჩევლებს, საჯარო სამსახურის რეფერენტებს - შესაბამის თანამდებობაზე არჩევის (დანიშვნის) უფლების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი).**

მოხელეს, რომელსაც მიენიჭა საკლასო ჩინი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეცემა თანამდებობრივი სარგოს დანამატი. სხვა თანამდებობაზე (სხვა დაწესებულებაში) გადასვლისას მოხელეს უნარჩუნდება საკლასო ჩინისათვის გათვალისწინებული დანამატი. დანამატის გაანგარიშების საფუძველია მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგო (23.10.2008. №399). აღსანიშნავია, რომ მოხელეს თანამდებობიდან გადადგომისას უნარჩუნდება საკლასო ჩინი მითითებით „გადამდგარი".

მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულია წახალისების სხვადასხვა ფორმა.

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, მოხელის წახალისების და სამსახურებრივი წახალისების და დაწინაურების რა ფორმები არსებობს და შეიძლება თუ არა ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა?**

**პასუხი:** კანონმდებლობით დადგენილია წახალისების შემდეგი ფორმები:

- **მადლობის გამოცხადება;**
- **ერთდროული ფულადი ჯილდო;**
- **ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;**
- **თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება.**

**ამასთანავე, შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. მოხელის უფრო მაღალ თანამდებობაზე წამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ იგი სამსახურში მიღებულია კონკურსის წესით და დაკავებულ თანამდებობაზე მსახურობს 1 წელი მაინც.**

მოსამსახურეს მადლობა შეიძლება გამოუცხადოს უფროსმა, რომელსაც აქვს ბრძანების გამოცემის უფლება. ერთდროული ფულადი ჯილდოთი, ფასიანი საჩუქრით ან თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლებით მოსამსახურის წახალისება შეუძლია მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე თანამდებობის პირს ან დაწესებულებას. წახალისების ნებისმიერი ფორმის გამოყენების შესახებ მოტივირებული წინადადების შეტანის უფლება აქვს ყოველ უფროსს და დაწესებულებას.

რაც შეეხება მოხელის უფრო მაღალ თანამდებობაზე წამოყენებას, აღნიშნული შეუძლია მის უშუალო ხელმძღვანელ თანამდებობის პირს ან დაწესებულებას

**კითხვა: ვინ შეიძლება გამოიყენოს მოხელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები და რა სახის შეიძლება იყოს იგი?**

**პასუხი:** იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

- **შენიშვნა;**
- **გაფრთხილება;**
- **არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;**
- **სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა;**
- **უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა – არა უმეტეს ერთი წლისა;**
- **სამსახურიდან განთავისუფლება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.**

**ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.**

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება აღინიშნება პირად საქმეში შეტანით. დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდებ თანამდებობის პირს ან დაწესებულებას უფლება აქვს, მოხელეს ვადამდე ადრე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა მოსამსახურემ. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნა ფორმდება წერილობით ორ პირად. ერთი პირი რჩება იმ თანამდებობის პირთან ან დაწესებულებასთან, რომელმაც ვადამდე ადრე მოუხსნა მოხელეს პასუხისმგებლობა, მეორე პირი კი გადაეცემა თვითონ მოხელეს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნა შეიტანება პირად საქმეში. ამასთან, თუ მოხელეს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

**კითხვა: იქნებ აგვიხსნათ, რატომ გახდა ამ უკანასკნელ წლებში აუცილებელი საჯარო დაწესებულებებში ატესტაციის ჩატარება, რისთვის ტარდება იგი და ვის მიერ განისაზღვრება მისი ჩატარების წესი? რომელი საჯარო მოსამსახურე ექვემდებარება და რომელი არა?**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, მოხელის ატესტაცია არის მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობისა და პირადული თვისების დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. ატესტაციის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. (ამოქმედდა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან). ატესტირებას ექვემდებარებიან:

- **საჯარო მოხელეები 3 წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი);**
- **კანდიდატ(ებ)ი მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავონ.**

**ატესტირებას არ ექვემდებარებიან:**

- **საჯარო მოხელეები, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს ან ირჩევს შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;**
- **საჯარო მოხელეები, რომელთაც თანამდებობაზე ირჩევენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;**
- **საჯარო მოხელეები, რომლებიც სამსახურში მიღებული არიან განსაზღვრული ვადით.**

მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. კანონის თანახმად, საჯარო მოხელის გათავისუფლება გათვალისწინებულია სხვადასხვა მიზეზით: სამსახურის ვადის გასვლის გამო, თუ იგი თანამდებობაზე გარკვეული ვადით იყო არჩეული ან დანიშნული; დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო ან დაწესებულების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით; დაწესებულების რეორგანიზაციის გამო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. ამ შემთხვევაშიც დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები; სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხიმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა; ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო სამსახურში ზედიზედ ოთხი თვის ან კალენდარული წლის მანძილზე ექვსი თვის გამოუცხადებლობის გამო; გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო და სხვა.

დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან განთავისუფლებისას, მოხელეს კომპენსაციის სახით უნდა მიეცეს 2 თვის თანამდებობრივი სარგო, ხოლო ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, სამხედრო ან ალტერნატიული სამსახურში გაწვევის გამო სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში – 1 თვის თანამდებობრივი სარგო.

აღსანიშნავია, რომ მოხელე (ქალი) არ შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო.

**ირინე ღლონტი**

**◎ გამოიცა**

# „დიდი ექვთიმე"

## წიგნი ქართველ მეჭურჭლეთუხუცესზე

**2014 წლის მიწურულს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გრიფით, გამომცემლობა „არტანუჯმა", კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოსცა მეტად საინტერესო წიგნი „დიდი ექვთიმე", რომელიც დიდ ქართველ მამულიშვილს და მეცნიერს, წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცს (ექვთიმე თაყაიშვილს) ეძღვნება. წიგნში (შეიცავს 725 გვერდს) არის ცდა ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილი წარმოჩენისა. აქ დაბეჭდილია ქვეყნის წამყვან მეცნიერთა სტატიები დიდი ექვთიმეს დაუღალავი მოღვაწეობის შესახებ. გამოქვეყნებულია (ძირითადად პირველად) უმნიშვნელოვანესი საარქივო მასალები, რომელიც ნათელს ჰფენს დიდი ქართველის მოღვაწეობის სხვადასხვა საკითხს. რეალურადაა წარმოჩენილი (ახლად მოპოვებული საარქივო მასალების საფუძველზე) ქვეყნიდან გატანილი განძის დაბრუნების რეალიები. წარმოდგენილია დაბრუნებული განძის ერთი ნაწილის ილუსტრაციები. წიგნი მთლიანად ეძღვნება წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცის განვლილ მოწამეობრივ გზას „განსაწმენდლიდან" წმინდანობამდე.**

**წიგნის გამოცემის ხელმძღვანელი, მისი შემდგენელი და მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი როინ მეტრეველი. შემდგენელი და რედაქტორია პროფესორი ნათელა ვაჩნაძე. გამოცემის ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სარედაქციო კოლეგიის წევრები, ისტორიის დოქტორები: ბუბა კუდავა და არჩილ კოხრეიძე.**




„დიდი ექვთიმე" შესავლისა („წმიდა ექვთიმე და ჩვენი თანამედროვენი") და ათი კარისაგან შედგება. შესავალში დაბეჭდილია დიდი ივანე ჯავახიშვილის მოხსენება (1918 წლის 21 მაისს) თბილისის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსადმი – „ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა". აქვეა დაბეჭდილი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის ოქმი ექვთიმე თაყაიშვილისათვის არქეოლოგიის დოქტორის ხარისხის მინიჭების თაობაზე (1918 წ., 21 მარტი) და აკადემიკოს გ. ჩოგოვაძის სტატია „ექვთიმე თაყაიშვილი – იუნესკოს იუბილარი".

**<u>პირველ კარში</u>** („ექვთიმე ღმრთისკაცი") დაბეჭდილია სხვადასხვა მასალა ექვთიმეს ღმრთისკაცის შესახებ, რომლის ავტორები არიან: როინ მეტრეველი, ლია წერეთელი, ლევან ვასაძე, ნიკო ჯავახიშვილი. ამ კარში ქვეყნდება ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას ჯვრისწერისა (5 ივლისი, 1895 წელი) და ექვთიმეს დაბადებისა (1862 წლის 5 იანვარი) და ნათლობის (1863 წლის 14 იანვარი) საეკლესიო ჩანაწერები. აქვეა მოთხრობილი დიდი მეცნიერის წინაპრებისა და ოჯახური გარემოს შესახებ, მოცემულია მისი სულიერი პორტრეტი.

**<u>მეორე კარში</u>** („ისტორია, ექვთიმე თაყაიშვილი ორი საუკუნის მიჯნის ქართველოლოგიური დარგების მესაჭე"). დაბეჭდილია ოთარ ჯაფარიძის, ნიკოლოზ ჟღენტის, მაია ჩარკვიანის, თამილა ცაგარეიშვილის, დიმიტრი თუმანიშვილის, დავით ხოშტარიას, გიორგი ოთხმეზურის, როინ მეტრეველის, ელენე მაჭავარიანის, მიხეილ ქავთარიას, თამაზ გოგოლაძის, მერაბ კალანდაძის სტატიები ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის სხვადასხვა სფეროს შესახებ.

**<u>მესამე კარი</u>** („ფილოლოგია") ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ქართული მწერლობის კვლევას ეძღვნება (ნესტან სულავა).

**<u>მეოთხე კარი</u>** („საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოღვაწეობა") დიდი მამულიშვილის საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოღვაწეობას ეძღვნება. აქ დაბეჭდილია როინ მეტრეველის, ოთარ ჟორდანიას, იაკობ ფუტკარაძის საინტერესო მასალები ექვთიმე თაყაიშვილის საზოგადოებრივი საქმიანობის თაობაზე.

**<u>მეხუთე კარში</u>** („რარიტეტი") გიორგი ოთხმეზური განიხილავს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემულ „ძველ საქართველოს".

**მეექვსე კარში** („უცნობი ექვთიმე") მოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის პუბლიკაციების (1937-1938 წწ.) შესახებ უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში (რუსუდან ლაბაძე).

**<u>მეშვიდე კარში</u>** („საქართველოს განძის უანგარო გუშაგი") გამოქვეყნებულია აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას (სამუზეუმო განძეულობის მიმღები კომისიის თავმჯდომარის) მოხსენება. აქვეა ერეკლე ჟორდანიას „ქართული განძის დაბრუნების დოკუმენტური ისტორია", არჩილ კოხრეიძის „ოღონდ განძი გადარჩენილიყო".

**<u>მერვე კარში</u>** („მეცნიერის ნაკვალევზე") დაბეჭდილია ნათელა ვაჩნაძის, ელენე კავლელიშვილის, ხათუნა თოდაძის და ჯაბა სამუშიას სტატიები.

**<u>მეცხრე კარი</u>** („ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო...") ეძღვნება ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოში დაბრუნებას. ნინო მამარდაშვილი გადმოსცემს ექვთიმეს განვლილ გზას „განსაწმენდლიდან" წმინდანობამდე. აქვეყნებს ორ უცნობ დოკუმენტს, აქვეა დაბეჭდილი აკაკი შანიძისა და ქრისტინე შარაშიძის გამოსათხოვარი სიტყვები; მარიამ ლორთქიფანიძის, ვახტანგ ბერიძისა და იოსებ მეგრელიძის მოგონებები.

**<u>მეათე კარში</u>** („უკვდავყოფა") სერგო ვარდოსანიძე გადმოგვცემს ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხვის პროცესს, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ხელს ამ საქმეში.

წიგნი „დიდი ექვთიმე" თავისი ყოველმხრივობით, აქტუალობით, ინფორმაციულობით (ახალი დოკუმენტური მასალის შემოთავაზებით), სიღრმისეული კვლევით, უდაოდ უნიკალურია და იგი უთუოდ საინტერესო იქნება ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

**ნანა ხაზარაძე,**
**აკადემიკოსი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე**

**◎ ინფორმაცია**

## კიდევ ერთი ნაციონალი უკრაინაში

**საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი გია გეწაძე უკრაინის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტთან ერთად, რეფორმების საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობასაც დაიკავებს . აღნიშნული ორგანო უკრაინის იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში იქმნება და მას სწორედ გია გეწაძე უხელმძღვანელებს.**

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" დეპუტატმა პაატა ლეჟავამ აცნობა.**

**პაატა ლეჟავას ინფორმაციით, გეწაძე უკრაინის მთავრობის სხდომაში მიიღო მონაწილეობა, სადაც მთავრობის წევრებს რეფორმების საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და ამ მიმართულებით მისი ხედვები გააცნო.**

**ჭადრაკი**

# ასე აფასებენ ლეგენდები

**მომავალი წლებისთვის ჭადრაკისთვის მრავალმილიონიანი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებას ქართული საჭადრაკო სკოლის ლეგენდები — ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე და ნანა იოსელიანი გამოეხმაურნენ.**

### მთელი ცხოვრება ვიბრძოდი ამისთვის!



***ნონა გაფრინდაშვილი,* მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების 11-გზის გამარჯვებული; მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი.**

მივესალმები ჭადრაკის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებას და მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს ბიუჯეტი გათვლილია 4 წელიწადზე. ამ პროგრამის მთავარი მოვლენა 2018 წელს ბათუმში დაგეგმილი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაა. საჭადრაკო ფორუმს, სადაც 180 ქვეყანა გამოაგზავნის თავის ნაკრებ გუნდებს, დაემატება ათასობით სტუმარი საჭადრაკო სამყაროდან, რაც, თავისთავად, დიდი რეკლამაა ზღვისპირა ბათუმისთვის.

### იმედია, ყველა ღონისძიება ჯეროვნად ჩაივლის...

***მაია ჩიბურდანიძე,* მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების 10-გზის გამარჯვებული; მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი.**

ძალიან მიხარია, რომ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ჭადრაკის აღზევება — დამტკიცდა ოთხწლიანი სახელმწიფო პროგრამა. იმედია, პროგრამით დაგეგმილი ყველა



ღონისძიება ჯეროვნად ჩაივლის.

ბოლო წლების განმავლობაში მოჭადრაკეებს გვაკლდა ყურადღება, თითქოს არავის ახსოვდა ჩვენი წარმატებები. 2008 წელს დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამარჯვებამაც არ იმოქმედა ჭადრაკის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერაზე.

### წარმოაჩინეთ საკუთარი შესაძლებლობები!



***ნანა იოსელიანი,* მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების 5-გზის გამარჯვებული; მსოფლიოს 2-გზის ვიცე-ჩემპიონი.**

მივესალმები საქართველოში 2015-2018 წლების ჭადრაკის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებას. ჩვენ მომავალ თაობას ეძლევა რეალური შანსი წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები!

**ბეჟან დოლიძე**

**კალათბურთი**



# „შსს აკადემია“ შეკრებაზე იმყოფება

**სუპერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „შსს აკადემია“, რომელიც 24-ეეროვნულ ჩემპიონატში ერთპიროვნულ ლიდერ „დინამოს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება, მეორე წრისთვის მზადების მიზნით ერთკვირიან შეკრებაზე ბაკურიანში იმყოფება. ამის შესახებ „შსს აკადემიის“ მთავარმა მწვრთნელმა კოტე ტუღუშმა განაცხადა.**

„ბაკურიანში ერთკვირიან მომზადებას გავივლით. ჩვენთან ერთად იმყოფება საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, მძიმე ფორვარდი ნიკა მეტრეველი. დარჩება თუ არა იგი გუნდში, შეკრების დასრულებისა და თბილისში დაბრუნების შემდეგ გახდება ცნობილი“, — თქვა ტუღუშმა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ავტოსპორტი**

# ფ1-ის კალენდრიდან კორეა მაინც ამოვარდა?

**საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კალენდარში, რომლითაც ბილეთების შეძენაა შესაძლებელი, არ ფიგურირებს კორეის დიდი პრიზი, რომელიც ყატარში ჩატარებულ დაჯილდოების გალა-ცერემონიალზე, კორეელებისთვისაც მოულოდნელად, კალენდარში იყო ჩასმული. თუმცა, ოფიციალური კალენდრის გრაფაში კორეა ისევ ფიგურირებს, ოღონდ მის გასწვრივ ისევ აღნიშნულია, რომ ის დამტკიცებული ჯერ არ არის.**

რა გამოდის — ცალკე აღებულ კალენდარში რბოლა შეტანილია, მისი ბილეთების შეძენა კი შეუძლებელია. თუმცა, არის მეორე ფაქტორიც. უცხოელები ამ ეტაპს არ ეტანებიან, კორეელებს კი ბილეთის ყიდვის საშუალება ადგილზევე ექნებათ. ამიტომ ინტერნეტით ბილეთების არგაყიდვის ფაქტი სულაც არ ნიშნავს, რომ კორეულ რბოლას უარი უთხრეს.

ამგვარად, დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ახალი სეზონის კალენდარში 20 ეტაპი შევა და არა 21. სხვათა შორის, დოჰაში ჩატარებული ცერემონიის დროს, როცა კალენდარი გამოქვეყნდა, მასში კორეის არსებობით თავად კორეელები დარჩნენ გაკვირვებულები. იყო ლაპარაკი იმაზეც, რომ ეს გუნდებს სეზონში თითო პილოტზე ხუთი ძრავის გამოყენების საშუალებას მისცემდა, თუმცა, მოგვიანებით ეს ვარიანტი გამოირიცხა.

**ფ1-ის 2015 წლის კალენდარი (20 ეტაპი)**

**15 მარტი — ავსტრალია, 29 მარტი — მალაიზია, 12 აპრილი — ჩინეთი, 19 აპრილი — ბაჰრეინი, 10 მაისი — ესპანეთი, 24 მაისი — მონაკო, 7 ივნისი — კანადა, 21 ივნისი — ავსტრია, 5 ივლისი — ბრიტანეთი, 19 ივლისი — გერმანია, 26 ივლისი — უნგრეთი, 23 აგვისტო — ბელგია, 6 სექტემბერი — იტალია, 20 სექტემბერი — სინგაპური, 27 სექტემბერი — იაპონია, 11 ოქტომბერი — სოჭი, 25 ოქტომბერი — აშშ, 1 ნოემბერი — მექსიკა, 15 ნოემბერი — ბრაზილია, 29 ნოემბერი — აბუ დაბი.**

**კობა კობახიძე**



**ფეხბურთი**

# „ვიტესის“ ადვოკატი:
## ჟორდანიამ ვერაფერი ისწავლა




**არნემის „ვიტესის“ ყოფილი მფლობელის მერაბ ჟორდანიას სარჩელთან დაკავშირებით ჰოლანდიური სასამართლო ვერდიქტს ორ კვირაში გამოიტანს.**

შარშან „ვიტესის“ გენერალურმა დირექტორმა იოს დე ვიტმა ქართველს უჩივლა და განაცხადა, რომ ჟორდანია მას თითების მოჭრით დაემუქრა. სასამართლომ „ვიტესის“ ექსმეპატრონეს არნემელთა საშინაო სტადიონ „გელრედომზე“ და გუნდის ბაზაზე შესვლა სამი წლით აუკრძალა. ჟორდანიამ ეს გადაწყვეტილება ცოტა ხნის წინ გაასაჩივრა. მისი ადვოკატის აზრით, არავითარი საფუძველი არაა, რომ ქართველმა „გელრედომზე“ „ვიტესის“ საშინაო მატჩებს თვალი ვერ ადევნოს.

თუმცა, „ვიტესის“ ადვოკატს მიაჩნია, რომ ჟორდანიამ ვერაფერი ისწავლა, რადგან გასული წლის მიწურულს თავისი „ტვიტერით“ დე ვიტს კვლავ დაემუქრა. მაშინ ჟორდანიამ დაწერა, რომ იმ ხალხს, ვინც კლუბი ასეთ დღეში ჩააგდო, არა მხოლოდ თითები, არამედ თავებიც უნდა მოაჭრა. თავის მხრივ, ჟორდანიას ადვოკატი ამტკიცებს, რომ მისმა კლიენტმა იხუმრა, რაზეც ტექსტის ბოლოს დასმული „სმაილიკი“ მოწმობს, ხოლო დე ვიტმა ამ სიტყვებს არასწორი ინტერპრეტაცია მისცა.

ჟორდანიას მუქარა რომ სერიოზულია, ამის დასტურად „ვიტესის“ ადვოკატმა არნემულ კლუბში ქართველის „მარჯვენა ხელის“ ერვინ კაზაკოვსკის სიტყვები მოიყვანა. გერმანელმა, რომელთანაც ჟორდანია 20 წელია თანამშრომლობს, თურმე განაცხადა, რომ დე ვიტი ისე შეშინდა, სახლიდან ვერ გამოდიოდა.

**გიორგი შოთაძე**

**ინტერნეტიდან**

# სექსუალური და თავაშვებული ლიზ სოლარი



**ერთ დროს მადრიდის „რეალის“ არგენტინელი ფეხბურთელი სანტიაგო სოლარი ხომ გახსოვთ? ჰოდა, სანტიაგო თუ გახსოვთ, შეიძლება მისი და ლიზ სოლარიც იცოდეთ, რომელიც უკვე რახანია ეროტიკული ფოტოგადაღებების დიდი მოყვარულია და, მისი პოპულარობა, შეიძლება ითქვას, რომ ზენიტშია ასული.**

ლიზ სოლარი როცა ჩაცმულია და არაფერს აკეთებს, სწორედ მაშინაა ყველაზე უბედური და გულშეღონებული, თორემ როცა მის მკერდზე ვიდეო თუ ფოტოკამერის ლანდი ირეკლება, მაშინ, იცოცხლეთ, თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

ლიზ სოლარის შესახებ ბულვარული მედია ხშირად წერს, რომ ამ ქალს ყველაფერი ხელეწიფება და მისთვის არ არსებობს „შეუბმელი“ მამაკაცი. ლიზი განსაკუთრებით თურმე ერთღამიან რომანებზე გიჟდება და არასოდეს ცდილობს მამაკაცებთან დიდხნიანი ურთიერთობის გაბმას. თავისუფლება მას სწორედ ასე წარმოუდგენია.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ფრთხილად, მშივრებო, ფრთხილად!

# ყველაზე მაღალი რისკის შემცველი პროდუქტები

**„დეზერტირების ბაზრი“ მიმდებარე ტერიტორიაზე სახელდახელოდ გაშლილი დახლებიდან გარემოვაჭრეები გამვლელებს ბოსტნეულს, დაკლულ „სოფლის დედალს,“ კვერცხსა და რძის ნაწარმს სთავაზობენ... „ბიჭი, ამაზე უკეთეს „იმერულს“, აქანა ვერსად ნახავ. აგერ, გამისინჯე და მერე სხვისგან აღარ შეიძენ...“ — ჟიუტად აძალებდა ასაკოვანი ქალბატონი ახალგაზრდა წყვილს ყველის გასინჯვას და ცელოფანმომარჯვებული, მეორე ხელით სასწორს ეძებდა. მის გვერდით მდგარი ქალბატონი კი „სოფლის კვერცხს“ უკეთებდა რეკლამას. „იმისთანა დედლების დადებულია ეს კვერცხი, ამის მყიდველს უკეთესზე უკეთესი 2015 წელი ექნება, რამდენი გინდათ?“ – უქებდა დასვრილ კვერცხებს მუშტარს.**

არასათანადო პირობების მიუხედავად, ასეთ ადგილებს მომხმარებელი მაინც ჰყავს. რამდენად უსაფრთხოა ქუჩაში ნაყიდი საკვები პროდუქტი? ამაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა, თუმცა, იმის გამო, რომ ასეთ ადგილებში გასაყიდად გამოტანილი პროდუქცია, ბევრად იაფია, ვიდრე მარკეტებში, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, მაინც აქ ურჩევნია მისი შეძენა. არადა, ასეთ ადგილებში შეძენილი საკვებით, საფრთხის ქვეშ ვაყენებთ როგორც საკუთარ თავს, ასევე ოჯახის წევრებს. BPN-მა, ყველაზე მაღალი რისკის შემცველი პროდუქტები, მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორთან ერთად შეადგინა. ჩამონათვალი ისეთი პროდუქტებისგან შედგება, რომლებსაც თითქმის ყოველდღიურად მოვიხმართ, მაგრამ შედეგზე ხშირად არ ვფიქრობთ.

## რამდენად უსაფრთხოა ქუჩაში ნაყიდი საკვები პროდუქტი?



**ლია თოდუა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორი:** „ყველაზე მაღალი რისკის შემცველ პროდუქტებად მიიჩნევა ცხოველური წარმოშობის საკვები, რადგან მალფუჭებადი პროდუქტებია. გარდა ამისა, ისინი შეიძლება შეიცავდნენ სხვადასხვა დაავადებათა გამომწვევებს, კუჭ-ნაწლავის დამაზიანებელ ან გამაღიზიანებელ მიკრობებს. პირველი, რასაც ყველაზე ხშირად მოვიხმართ, ეს არის საქონლის ხორცი. საბედნიეროდ, საქართველოში მოგვარდა სასაკლაოების საკითხი და მსხვილფეხა საქონელი ძირითადად იკვლება სასაკლაოებზე, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც საქონელს კლავენ სასაკლაოს გარეთ და მაინც ხვდება სამომხმარებლო დახლზე. ერთადერთი, რითაც შეიძლება დავიცვათ საკუთარი თავი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობა, იქ უნდა შევიძინოთ ხორცი, სადაც ზუსტად ვიცით, რომ ლეგალურად დაკლული საქონელი ექნებათ მიღებული. უფრო სასარგებლოა ნედლი ხორცი, ვიდრე გაყინული, თუმცა, დღევანდელი რეალობა ისეთია, რომ გაყინული ხორცი უფრო უვნებელია, მაგრამ ნაკლებად სასარგებლო. მეორე პრობლემაა ღორის ხორცი. საქონლის სასაკლაოებისგან განსხვავებით, ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით არ არის მოგვარებული ღორის სასაკლაოს საკითხი, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მართებს საზოგადებას ამ პროდუქტის შეძენისას და მოხმარებისას. ღორის ხორცი სათანადოდ უნდა დავამუშაოთ თერმულად, რათა ტრიქინელოზი არ დაგვემართოს. ეს არის ჭია, რომელიც შეიძლება იყოს ღორის კუნთებში და საკმაოდ რთული პარაზიტული დაავადების გამომწვევი მიზეზი გახდეს. იმ შემთხვევაში, თუ ღორის ხორცი კარგად არ არის თერმულად დამუშავებული და მას აქვს ტრიქინელოზი, ეს ჭია ჩვენს ორგანიზმშიც განვითარდება. მას შეუძლია დააზიანოს ღვიძლი, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ როგორც შემწვარ, ისე მოხარშული ხორცის თერმულ დამუშავებას. იმის გამო, რომ ქართველებს ძალიან გვიყვარს წვნიანი მწვადი და კატლეტი, ამაზე უარი უნდა ვთქვათ და დიდხანს უნდა შევწვათ ორივე პროდუქტი, რათა თერმულად დამუშავდეს. მოხარშვის შემთხვევაში, ღორის ხორცის მიღება უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. კიდევ ერთი საკითხი, რაზეც მინდა გავამახვილო ყურადღება, შაურმაა. ამ შემთხვევაშიც ხორცის ბოლომდე თერმულად დამუშავება ვერ ხდება. გარდა ამისა, სერიოზული პრობლემაა საშაურმეებში ჰიგიენის ნორმების დაცვა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შაურმით მოწამვლის რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა. ამის გამომწვევი მიზეზი სტაფილოკოკური ინფექცია იყო. ამ ინფექციის გავრცელების მიზეზი კი შეიძლება გამხდარიყო, გაჭრილი ხელი, ჩირქოვანი წარმონაქმნი და ა.შ. რაც შეეხება ფრინველის ხორცს, ევროპისგან განსხვავებით, საქართველოში, სამწუხაროდ სალმონელოზი აღმოფხვრილი არ არის. სწორედ ამიტომ, აუცილებელია კვერცხი გავრეცხოთ საპნით და ისე გამოვიყენოთ. თუ გაურეცხავ კვერცხს შევეხებით, ის ხელი აღარ უნდა შევახოთ არც მწვანილს და არც პურს, დიდი ალბათობაა იმისა, რომ ამ პროდუქტებზე სალმონელოზის ჩხირები გადავიდეს. იგივე უნდა გავითვალისწინოთ უმი ქათმის ხორცთან შეხების შემთხვევაშიც. ფრინველის ხორცი და კვერცხი გარედან, დიდი ალბათობით სალმონელოზით არის დაბინძურებული, ხოლო მისი მოხარშვის შემთხვევაში ამ ჯგუფის ჩხირები ადვილად კვდება.

რაც შეეხება კვერცხის ნაწარმს და კრემიან ნამცხვრებს, ამ შემთხვევაშიც დიდი დაკვირვება მართებს მომხმარებელს. ნამცხვრის კრემი კარგი გამრავლების ადგილია ბაქტერიებისთვის. განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება უმბეზეზე. ერთადერთი თავდაცვის მექანიზმი რაც ამ შემთხვევაში მომხმარებელს აქვს ის არის, რომ ნამცხვარი უნდა შევიძინოთ ისეთ ადგილას, სადაც დარწმუნებული ვართ, რომ მეწარმე ჰიგიენას იცავს. იმ შემთხვევაში, თუ ცილა კვერცხის ნაჭუჭის გარე ფენას შეეხო, დიდია რისკი, რომ ცილის დაბინძურება მოხდეს სალმონელოზით. ასე, რომ მომხმარებელი განსაკუთრებით უნდა გაფრთხილდეს უმი ბეზეს საკვებად მიღებისას. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ზაფხულში, თუმცა, უმი ბეზეთი გაფორმებული ნამცხვარი, ზამთარშიც და ზაფხულშიც ერთნაირი რისკის შემცველია.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც მომხმარებლის ყურადღებას გავამახვილებ, სწრაფი კვების ობიექტები და იქ მომზადებული საკვებია. სიახლეს არავისთვის წარმოადგენს, რომ მრავალჯერ გამოყენებულ ზეთში მომზადებული საკვები, მავნებელია ადამინის ორგანიზმისთვის. არის შემთხვევები, როდესაც იწამლება ადამიანი და ამის მიზეზი სწრაფი კვების ობიექტში ნაყიდი პროდუქციაა. ამის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და მიზეზი კი, როგორც უკვე გითხარით, არის მრავალჯერ გამოყენებულ ზეთში მომზადებული საკვები, რომელიც კუჭ-ნაწლავის სერიოზულ გართულებებს იწვევს. მრავალჯერ გამოყენებულ ზეთში გროვდება კარცეროგენური ნივთიერებები. ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ მზა სალათებს, განსაკუთრებით მაიონეზით დამზადებულს. ეს მალფუჭებადი პროდუქტია და ძალიან იოლია ამ პროდუქტით მოწამვლა. სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად ვლინდება ბოტულიზმის შემთხვევები. მისი გამომწვევი მიზეზი კი სახლში დამზადებული ბოსტნეულის კონსერვია. თუ ეს არის მოხუფული კონსერვები, აუცილებელ წესად უნდა ვაქციოთ ასეთი პროდუქტის 10-15 წუთით თერმულად დავამუშავება — ვხარშოთ ან ჩავშუშოთ“.

**თორნიკე ყაჯრიშვილი**

## განცხადება

**სააქციო** საზოგადოება „თბილისი №1 ავეჯის სახლი“ აცხადებს აქციონერთა საერთო კრებას. კრების ჩატარების ადგილი, ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №36, 2015 წლის 26 იანვარი 14 საათი. აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგია: სააქციო საზოგადოება „თბილისი №1 ავეჯის სახლი“ რეორგანიზაცია, წესდებაში ცვლილებების შეტანა, სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმის შეცვლასთან (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნა) დაკავშირებული საკითხების განხილვა.

---

**რამაზ ხუროძე, თეიმურაზ ხუროძე, ვაჟა ლორთქიფანიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ ოლღა და ვლადიმერ ჩხიკვიშვილებს ქალიშვილის**

**ოლღა ჩხიკვიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ნაზიკო, გულიკო, ჟანა, ნონა, ნანა, ვალოდია, თემური ბრელიძეები ოჯახებით, რუსიკო და ნესტორ ჩიხლაძეები ოჯახებით, მარინა კანდელაკი მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, გამორჩეულად სათნო, კეთილშობილი ადამიანის**

**ნათელა ბრელიძე-ტატანაშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შვილებს რიტა და გელა ტატანაშვილებს და ძმისშვილებს იასონ და შოთა ბრელიძეებს.**

**ლანა, მიხეილ დუნდუები ოჯახით თანაუგრძნობენ მაია და მამუკა გონაშვილებს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის**

**ვენერა ფრანგიშვილი-გონაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

სანთელი

## გიული ჯალაღანიას მონატრება



**ჩვენო დაუვიწყარო „გულიჩია“**

ოთხი წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, როდესაც საყვარელ ოჯახს დაშორდი. „დრო ყველაფრის მკურნალიაო“ ამბობენ, მაგრამ ასე არ ყოფილა, უშენობა ძალიან გვიჭირს დაძმას, რძლებს, ძმისშვილებს, ძმისშვილიშვილებს, ნათესავებს და შენს საყვარელ მეგობრებს.

შენ ხომ ყველასათვის საყვარელი „გულო მამი“ იყავი, სიკეთისა და ბედნიერების მომტანი.

უანგაროდ, უღალატოდ და ერთგულებით ემსახურებოდი მუდამ ყველას და ამ დევიზით განვლე შენი ცხოვრების გზა.

იძინე მშვიდად, საყვარელი დედ-მამის გვერდით და უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს თქვენი სულები.

**ოჯახი**

---

ინფორმაცია

## დააკავეს ნარკოდანაშაულისთვის

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ნარკოდანაშაულისთვის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელი დააკავა.**

**საგამოძიებო უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, „სარფის“ სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ანტიკორუფციული სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური მთავარი სამმართველოს პირველი სამსახურის (ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური) უფროსი ოპერატიული თანამშრომელი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი გ. მ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს.**

**გამოძიების ინფორმაციით, გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 5 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. დაკავებული პოლიციელი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.**

---

## განცხადება

2015 წლის 9 მარტს 14 საათზე, ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონი, ელ. ანდრონიკაშვილის ქუჩა №29 (საწარმოს ტერიტორიაზე, ოფისში), გაიმართება შპს „ჯორჯიან ბილდინგ გრუფის“ დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის — ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) ექსპლოატაციის პირობების შეცვლასთან დაკავშირებით გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაქფვით ცემენტის მიღება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონი, ელ. ანდრონიკაშვილის ქუჩა №29 (საწარმოს ტერიტორიაზე, ოფისში).

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

**საკონტაქტო პირი: დურმიშხან სანდუხაძე 571 99-65-65.**

**ადმინისტრაცია, შპს „ჯორჯიან ბილდიგნ გრუფ“.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

## მცირე ენციკლოპედია

# იდუმალი კანარის კუნძულები

## სტვენით მოლაპარაკე ხალხი

**ძველი რომაელი მწერლის პლინიუს უფროსის ნაშრომებიდან ვიცით, რომ ჩ.წ.ა. მე-7 — მე-6 ს.ს.კანარის კუნძულები უკაცრიელი იყო, მაგრამ იქ ოდესღაც უზარმაზარი ნაგებობების ნანგრევები იყო შემორჩენილი. ძველ ბერძნულ ლეგენდებში კი ლაპარაკია ამ არქიპელაგის მცხოვრებლებზე, თანაც კუნძულები „ნეტართა სავანედ“ არის მოხსენიებული.**

ასე გაჩნდა ვერსია: ხომ არ არიან აქ მცხოვრები გუანჩები ატლანტიდის დაღუპვის შემდეგ გადარჩენილი ატლანტების შთამომავლები? ისტორიკოსთა ჰოპითეზით, ატლანტიდა ხომ ატლანტიკის ოკეანის იმავე რაიონში მდებარეობდა, სადაც კანარის კუნძულებია!

იმის მიუხედავად, რომ გუანჩების კულტურა, ფაქტობრივად, დანდა: **მათ ერთმანეთის გაგება ხმის ამოუღებლად, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით შეეძლოთ! გარდა ამისა, ისინი ერთმანეთს... სტვენით ელაპარაკებოდნენ, თანაც ძალიან შორ — 15 კილომეტრამდე — მანძილებზე. ამ სტვენას ლა გომერას კუნძულის მკვიდრნი დღესაც იყენებენ: მას სკოლებშიც კი ასწავლიან, როგორც ტრადიციულ ენას.**

საგულისხმოა კიდევ ერთი რამ. კანარის კუნძულთა დამპყრობი ნორმანი ჟან დე ბეტანკური წერს: „გომერა — მაღალი ხალხის სამშობლოა, ისინი ერთმანეთში ისე ლაპარაკობენ, თითქოს ენები არ ჰქონდეთ“. იგივეს იმეორებენ ბერები ბონტიე და ლევერიე: „მათ თითქოს ენები არ აქვთ, რადგან ვიღაც სასტიკმა ხელმწიფემ ისინი ამოგლიჯა და აქ გადმოასახლა“.



კარგულია, თავად ისინი კი დიდი ხანია ევროპულ ცივილიზაციაში „აითქვიფნენ“, კანარის კუნძულების მკვიდრნი დღესდღეობითაც მიიჩნევენ, რომ ძარღვებში იმ აბორიგენთა სისხლი უდუღთ. ისინი ამბობენ: „თუკი კუნძულებზე მაღალ, ჟღალთმიან, ცისფერთვალება კაცს შეხვდებით, ეჭვი არ შეგეპაროთ — თქვენს წინაშე ჭეშმარიტი გუანჩი იქნება!“. საქმე ისაა, რომ სწორედ ასეთი აღწერილობის ხალხი დახვდათ ესპანელებს, როცა მე-14 საუკუნეში ისინი კანარის კუნძულებზე პირველად ჩავიდნენ. მათი ცნობებით, ტენერიფეზე მაღალი, თეთრკანიანი, ღია ფერისთმიანი (ზოგჯერ ჟღალთმიანი) და ცისფერთვალება ხალხი ცხოვრობდა. მათი საშუალო სიმაღლე 180 სანტიმეტრს აღემატებოდა, მაგრამ ბევრი ორ მეტრზე მაღალიც იყო! არადა, საქმე ის არის, რომ ანთროპოლოგიურად ასეთი ტიპი ამ განედებისთვის აშკარად არდამახასიათებელია! თუმცა კი, უფრო გასაკვირი ევროპელთათვის გუანჩების ენა აღმოჩროცა განცვიფრებულებმა ევროპელებმა გუანჩებთან ამ უცნაური ენის ამბავი გაარკვიეს, აღმოჩნდა, რომ რაღაც დანაშაულისთვის მათ წინაპრებს მართლაც წაართვეს ენა, მაგრამ რაში მდგომარეობდა ეს დანაშაული, მათ ეს აღარ ახსოვდათ. არადა, ამ ხალხს, ცხადია, ენებიც ჰქონდათ და ჩვეულებრივადაც შეეძლოთ ლაპარაკი, მაგრამ ერთმანეთთან ურთიერთობას მაინც სტვენით ამჯობინებდნენ.

ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ გუანჩებს ოკეანეში საცურაოდ გამოსადეგი გემების ნასახიც არ აღმოაჩნდათ, მხოლოდ პრიმიტიული ნავების პატრონები იყვნენ. არადა, კანარის კუნძულებიდან უახლოეს ნაპირამდე (ეს კი ჩრდილოეთი აფრიკაა) თითქმის 100 კილომეტრია, თანაც ნაოსნობას დიდად ართულებს ზღვის დინებები. მართალია, ევროპიდან გზა გაცილებით იოლია, მაგრამ მისი სიგრძე 1300 კილომეტრია!

ამდენად, ვინ არიან გუანჩები და საიდან გაჩნდნენ კანარის კუნძულებზე, დღემდე დედამიწის ერთ-ერთი იდუმალებით მოცული ამბავია.

**(დასაწყისი იხ. № 260, 2014 წ.).**

## ჩვენი კარაბადინი

# უარი თქვით მავნე ჩვევებზე

## გულის საკმარისობა



**ზრუნვა გულსა და სისხლძარღვებზე მეტად მნიშვნელოვანია სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის. ამასთან დაკავშირებით რეგულარულად მიმდინარეობს გამოკვლევები, რომლებიც ადასტურებენ: ბევრი რამ თავად ადამიანზეა დამოკიდებული.**

### არასდროსაა გვიან

**შეცვალო ჩვევები — არასდროსაა გვიან, ამტკიცებს ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტი (ილინოისი, ამერიკის შეერთებული შტატები). იქ იკვლევდნენ 5000 კაცს, რომლებმაც 30 და 40 წლის შემდეგ უარი თქვეს ჩვევებზე, რომლებიც მავნეა გულის კორონარული არტერიებისთვის:** მოწევაზე, ალკოჰოლსა და ცხიმიანი საკვების ჭამაზე. ამის ნაცვლად მათ შეიძინეს სასარგებლო ჩვევები: მისდევენ სპორტს, ჭამენ ბევრ ბოსტნეულსა და ხილს, აკონტროლებენ საკუთარ წონას. გაირკვა, რომ 5 წლის შემდეგ კორონარული არტერიების გამტარობა გაუმჯობესდა 10 პროცენტით. ცხოვრების ასეთი ჯანსაღი წესის 20 წლის შემდეგ სისხლძარღვების მდგომარეობა გაუმჯობესდა 45 პროცენტით. ჯანმრთელობისთვის ზრუნვის ყოველი წელი მართლაც აუმჯობესებს გულისა და სისხლძარღვების მდგომარეობას: თავიდან გვაცილებს ათეროსკლეროზსა და არ აძლევს საშუალებას წნევის ამაღლებას.

### ჰიპერტონია გონებასუსტობით გვემუქრება

**სხვათა შორის, ჰიპერტონიის შესახებ, სხვა გამოკვლევამ, ამჯერად დაბერების ეროვნულმა ინსტიტუტმა (მერილენდი, ამერიკის შეერთებული შტატები) დაადგინა, რომ ადამიანების გონებასუსტობა 70 წლის შემდეგ პირდაპირაა დაკავშირებული გაზრდილ წნევასთან 50 წლის შემდეგ. „აბა როგორ გინდათ, — ამბობენ მკვლევარები, — როდესაც სისხლი, პირდაპირი გაგებით, აწვება ტვინს, ნერვულ უჯრედებს ნორმალური მუშაობა არ შეუძლიათ!“არის სასიამოვნო ცნობაც:** ნორმამდე სისხლის წნევის დაქვეითება ხელს უწყობს მეხსიერებისა და კოგნიტიური უნარის აღდგენას ერთბაშად 10 პროცენტით. ასე რომ, რეკომენდაცია — თვალყური ვადევნოთ წნევას და, თუ აუცილებელია, რეგულარულად მივიღოთ პრეპარატები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც ცხოვრებისთვის აუცილებელ საშუალებებს გონებრივი შრომით მოიპოვებენ.

მსგავსი მონაცემები მიღებულია ბრაიჰემის სიახალგაზრდავის უნივერსიტეტშიც (იუტა, ამერიკის შეერთებული შტატები). აქ რეკომენდაციას იძლევიან, თვალყური ადევნონ წნევას ყველამ, ვისაც გულმავიწყობა, გაღიზიანება აწუხებს და საერთოდ მიაჩნია, რომ უკვე ცუდად აზროვნებს საყოფაცხოვრებო საკითხებში. მათი მონაცემებით, წონის დაკლება ნორმამდე და ცხიმიანი პროდუქტების შეცვლა ბოსტნეულით ტვინის მუშაობას აუმჯობესებს 2,7-4,6 პროცენტით.

### ვკვეცავთ ცილებს

**მაგრამ, მოდით, დავუბრუნდეთ კვლავ იმას, თუ რა შეუძლია ყოველ კონკრეტულ ადამიანს თავად. ჩვენ უკვე არაერთხელ ვახსენეთ ჯანსაღი კვება: ბოსტნეული და ცხიმიანი საკვების მინიმუმი. თურმე, ზედმეტი ცილაც — ხორცი, ფრინველი, თევზი — ასაკთან ერთად ხელს უშლის გულის ჯანმრთელობას.** ეს დაადგინეს ნანკინის (ჩინეთი) უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეცნიერებმა. მათ 14 წლის განმავლობაში 200 ათასზე მეტი ადამიანი გამოიკვლიეს. აღმოჩნდა, რომ იმათ, ვინც აჭარბებდა ცილის ყოველდღიურ ნორმას, უუარესდებოდა გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა. მაგალითად, ცილის ყოველი ზედმეტი 20 პროცენტი 26 პროცენტით ზრდიდა ინფარქტის რისკს. პროტეინის ნორმა დამოკიდებულია ასაკსა და სექსზე, საშუალოდ იგი შეადგენს 0,8-1 გრამს დღეში საკუთარი წონის 1 კილოგრამზე. უფრო მეტი სჭირდებათ მხოლოდ სპორტსმენებს, თუმცა, მათაც იშვიათად ურჩევენ ცილის 2,4 გრამზე მეტს დღეში თავისი წონის 1 კილოგრამზე.

### პომიდორი სისხლძარღვებს ასუფთავებს



**კემბრიჯის უნივერსიტეტმა კი (ინგლისი) გაგვახარა ახალი ამბით პომიდვრის მოულოდნელი მხარის შესახებ.** თურმე, მის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერება ლიკოპენი გასაოცრად სასარგებლო გავლენას ახდენს ენდოთელიუმზე — სისხლძარღვების შიდა კედლებზე. ლიკოპენის, როგორც ანტიოქსიდანტის, სარგებლიანობის შესახებ არაერთხელ უთქვამთ, ახლა კი გამოირკვა, რომ იგი სისხლძარღვებსაც ასუფთავებს შიგნიდან, აუმჯობესებს მათს გამტარუნარიანობას 53 პროცენტით. რასაკვირველია, თუ სისხლძარღვები ცუდ მდგომარეობაში იყო, ჯანმრთელებში იგი უბრალოდ იცავს ნორმას. კარგია, რომ ლიკოპენს, ბევრი სასარგებლო ნივთიერებებისგან განსხვავებით, არ ეშინია გადახურებისა, ასე რომ, პომიდორი შეიძლება თავისუფლად მოშუშო და შეწვა.

**რეკლამა**

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**29 9-62-77;**

**568 82-09-84.**

## კადრი



© Andy Rouse Rex Features

## ცინცხალი ანეკდოტები

**— ძვირფასო, თავდაპირველად გეტკინება, მაგრამ მერე გესიამოვნება, — ეუბნება კაცი ქალს.**

**— კარგი... თუმცა მინდა გითხრა, რომ მე ქალიშვილი არა ვარ!**

**— სულელო! მე საყურეები გიყიდე!!!**

* * *

**ნამდვილი მეგობარი არასოდეს არ გკითხავს, რატომო.**

**იგი უსიტყვოდ წავა მაღაზიაში, იყიდის, მოიტანს, გახსნის და დაგისხამს.**

* * *

**— თქვენ პური დაჭრილი გნებავთ?**

**— არა, გლუვლულიანი!**

* * *



**მივიდა ტიპი ბაზარში, შეუკვეთა 12 სირჩა ტეკილა და ერთიმეორის მიყოლებით დაიწყო სმა, ათი ჭიქა რომ დალია, ბარმენმა შეაჩერა:**

**— მე თქვენ ადგილას ასე არ მოვიქცეოდი. ეს შეიძლება ცუდად დამთავრდეს.**

**— თქვენ რომ ის ჰქონდეთ, რაც მე მაქვს, თქვენც ასევე სულმოუთქმელად შესვამდით, — უპასუხა ტიპმა და დარჩენილი ორი სირჩაც გადახუხა.**

**— მაინც რა გაქვთ?**

**— მხოლოდ 25 ცენტი!**

* * *

**— მამი, ვინ ჯობს რომ იყო, პლანეტის ყველაზე გავლენიანი ადამიანი ჟურნალ „ფორბსის“ ვერსიით, თუ მსოფლიოში უმდიდრესი კაცი ამავე ჟურნალის ვერსიით?**

**— ყველაფერს სჯობია, რომ იყო თვით ამ ჟურნალის მფლობელი და ფულს ღებულობდე იმ რეიტინგებისთვის, რისთვისაც დიდძალ თანხებს იხდიან ყველაზე გავლენიანებიც და ყველაზე მდიდრებიც.**

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24